ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

Akhali Taoba

აფხაზები ევროკავშირში, ოსები – ევროპარლამენტში

გვ.4

რას აკეთებს საქართველოს ხელისუფლება

30 ნოემბრიდან

ჯემალ ჩახავა

ქურდები და არიფები

ფასი გაზეთთან ერთად 4 ლარი

სამშაბათი, 5 დეკემბერი, 2017 | №288 (7523) | ფასი: 50 თეთრი

ხორავას ქუჩაზე მკვლელობაში ბრალდებული გ.ჯ. პოლიციას ჩაბარდა



გვ.4

„კონფლიქტი უკვე ჩამქრალი იყო, როცა ერთმა მოზარდმა მეორეს ანთებული სიგარეტი სახეში ესროლა. ამის შემდეგ დაიწყო ჩხუბი“

მოხსნიან თუ არა სკოლების დირექტორებს

გვ.2

„არ მინდა, რომ საქართველო ჩაცუცქულების ქვეყანა იყოს და ამიტომ მანდატურის ინსტიტუტმა ძველი ფუნქცია უნდა დაიბრუნოს“

ზვიად კუპრავა: „ტერორისტს დაჯავშნული „კობრით“ ჩატაევის გაყვანა უნდოდა სპეცოპერაციის ადგილიდან“

„ლევანი ჩემს ხელში გაიზარდა, ჩემს ხელში დაიწყო წვერის პარსვა. ჩემი გულის ნაწილი წაიღო ამ ბავშვმა“

გვ.3

„მე არ ვიცი, ვისი შვილია გაქცეული, მაგრამ მისი დედა და მამა როგორ იძინებენ, როგორ სუნთქავენ?!“

სერგო რატიანი: „ხელისუფლება ასხივებს, რომ კრიმინალის მხარდამჭერია“

გვ.5

ვახტანგ მაისაია: „ჩატაევს შაჰიდის ქამრით თავი რომ მოეკლა, მის ნაწილებსაც ვერ იპოვიდნენ“

გვ.5

სამართალი გვ.7



ბაღდათის ყოფილმა გამგებელმა ირაკლი გეგეშიძემ თავი მოიკლა

ხულოში ხარაბაძეების 2 სახლი და სკოლის ალტერნატიული ფართი მთლიანად დაიწვა

გურჯაანში 16 წლის მე–10 კლასელი გოგო გაზით გაიგუდა

ეკონომიკა გვ.6

რა პროდუქტები გაძვირდა ნოემბერში ყველაზე მეტად

2017 წლის ნოემბერში საქართველოში ინფლაციის დონემ წინა თვესთან შედარებით 1,1% შეადგინა

კობა გვენეტაძე: „ლარიზაცია არ ნიშნავს ლარის კურსის სტაბილურობას“

ISSN 1987-9385

3 ზვიად ქორიძე: „საზოგადოებრივი მაუწყებელი კორუფციის შესაძლებლობას იფართოებს“

2 ნაფიცმა მსაჯულებმა მკვლელობაში ბრალდებულს გამამტყუნებელი ვერდიქტი გამოუტანეს

6 რომან გოცირიძე: „ეროვნული ბანკი უნდა იყოს ქვეყანაში სტაბილურობის და სიმშვიდის გარანტი“

3 კომუნიკაციების ეროვნული კომისია ინტერნეტის ხარისხს გააკონტროლებს

ზვიად კუპრავა: „ტერორისტს დაჯავშნული „კობრით“ ჩატაევის გაყვანა უნდოდა სპეცოპერაციის ადგილიდან“

„არ მინდა, რომ საქართველო ჩაცუცქულების ქვეყანა იყოს და ამიტომ მანდატურის ინსტიტუტმა ძველი ფუნქცია უნდა დაიბრუნოს“

შორენა მარსაგიშვილი

რატომ არის ქვეყნის უსაფრთხოება საფრთხეში, რამდენად დაცულია სახელმწიფო საზღვარი, რა კითხვებზე აქვს ხელისუფლებას პასუხი გასაცემი, რატომ აღარ მუშაობს მანდატურის ინსტიტუტი, რა ხდება სკოლებში? – ამ თემებზე „ახალ თაობას“ სამართალდამცავთა რეფორმირების ცენტრის ხელმძღვანელი ზვიად კუპრავა ესაუბრება.

ზვიად კუპრავა:

– 4 დეკემბერს მოდულის შენობასთან გავმართეთ აქცია სახელწოდებით – სახელმწიფოს უსაფრთხოება საფრთხეშია. ქვეყნის უსაფრთხოება რომ საფრთხეშია, ეს ქალბატონმა ეკა ბესელიამაც დაგვიდასტურა. მან განაცხადა, რომ საზღვრის გარდა კიდევ არსებობს სხვა გზები, რითაც ქვეყნის ტერიტორიაზე შემოღწევა შეიძლება. აშკარაა, რომ ქალბატონ ეკას საზღვარი მხოლოდ საკონტროლო გამშვები პუნქტი ჰგონია.

საზღვრის გადმოკვეთის გარეშე საქართველოში სხვა ქვეყნიდან ადამიანი ვერ შემოვა. მნიშვნელობა არა აქვს, ეს იქნება ზღვა, ჰაერი თუ ხმელეთი. ის სულ სხვა საუბრის თემაა, რამდენად კონტროლდება საზღვარი. ფაქტია, რომ ჩვენი საზღვარი არ კონტროლდება და საქართველოს ტერიტორიაზე შემოსვლა ფაქტიურად ყველას შეუძლია. სხვა რა უნდა ვთქვათ, როცა ვნახეთ, რომ საქართველოში შემოვიდა ადამიანი, რომელიც ცნობილი ტერორისტია და ლამის მთელი მსოფლიო ეძებდა.

პირადად მე ეჭვი მეპარება, რომ ახმედ ჩატაევი საქართველოში შემოვლითი გზებით შემოვიდა. ადამიანი, რომელსაც ცალი ხელი და ფეხი არა აქვს, ამას ვერ შეძლებდა. საქართველო მთაგორიანი ქვეყანაა და აქ შემოვლითი გზებით შემოსვლა განსაკუთრებით რთულია. გარდა ფიზიკური მონაცემებისა, ასევე საჭიროა ადამიანი, რომელიც გზას გაჩვენებს. წინააღმდეგ შემთხვევაში შეიძლება დაიკარგო, ან გადაიჩეხო ანდა გარეულმა ცხოველებმა შეგჭამონ.

ჩემი ერთი ნაცნობი სპეცრაზმელია. ისინი სხვადასხვა ადგილებში ატარებენ წვრთნებს. ერთ-ერთი ასეთი წვრთნა ტაქტიკურ გადაადგილებაში მათ ლოპოტას ხეობაში ჩაატარეს. 2012 წელს აქ ჩატარდა ლაფანყურის სპეცოპერაცია. თუ გზა არ იცი, ამ ხეობიდან გაგნება შეუძლებელია. ჩემი ნაცნობი მიყვებოდა, რომ მათ წვრთნების დროს დაკარგეს ერთ-ერთი თანამებრძოლი.

– რანაირად დაკარგეს?

– გზა აებნათ და მისი პოვნა იარაღის წყალობით შეძლეს. ხან ის ისროდა ჰაერში, ხან ესენი. სროლის ხმაზე იპოვეს, თორემ დიდი შანსი იყო, ის ადამიანი გარეულ ნადირს შეეჭამა. ჩვენთან მგლები მრავლად არის.

ეს იმიტომ გავიხსენე, რომ თუ გზა არ იცი, გამოცდილი სპეცრაზმელისთვისაც კი ძნელია მეგზურის გარეშე გადაადგილება. მე ეჭვი მეპარება, რომ ადამიანმა, რომელსაც ცალი ფეხი ჰქონდა, საქართველოში შემოაღწია. ეს ხელისუფლებაშიც კარგად იციან, მაგრამ ამას იმიტომ ამბობენ, რომ საზოგადოებას გაუჩინონ ეჭვი. თხზავენ ვერსიას, რომ ჩატაევი საქართველოში არალეგალურად შემოვიდა.

ეს ასეც რომ იყოს, ამით ხელისუფლება თავს ვერ გაიმართლებს. ეს მეტყველებს იმაზე, რომ საქართველოს საზღვრები დაუცველია.

კარგი, ვთქვათ, დავიჯერეთ, რომ შემოიპარა, მაგრამ ახლა ის აგვიხსნან, როგორ ჩამოაღწია ამ ადამიანმა თბილისამდე. გვითხრან, როგორ შეძლო დედაქალაქის მჭიდროდ დასახლებულ უბანში დაბინავება და იქ სამხედრო ბაზის მოწყობა.

– სამხედრო ბაზის მოწყობაში რას გულისხმობთ?

– მათ სახლში ჰქონდათ დიდძალი იარაღი და ისინი პრაქტიკულად ტოლს არ უდებდნენ ჩვენს სპეცრაზმელებს. ფაქტიურად ბაზა ჰქონდათ. ბოლო მომენტამდე არც ერთი მათგანი არც კი დაჭრილა. ისინი იყენებდნენ ყველანაირ იარაღს – ხელყუმბარებს, ავტომატურ იარაღს, სნაიპერის შაშხანასაც კი. ყველამ ვნახეთ ფოტო, სადაც ერთ-ერთი ტერორისტი აივანზეა გადმომდგარი, ხელში იარაღი უჭირავს და ჩვენს სპეცრაზმელებს დამიზნებით ესვრის. სწორედ მას უკავია ხელში სნაიპერის შაშხანა და დამიზნებით ესვრის სპეცრაზმელებს.

სახელმწიფო უსაფრთხოება როგორ არ არის საფრთხეში, როცა იმ მრავალსაათიანმა სპეცოპერაციამ გვაჩვენა, რომ ამ სპეცოპერაციის დაგეგმარება იყო ნული. წინააღმდეგ შემთხვევაში ტერორისტებს აივანზე ცხვირის გამოყოფის საშუალებას არავინ მისცემდა. ჩვენ გვყავს კარგი სნაიპერები და ისინი გარშემო პერიმეტრზე უნდა ყოფილიყვნენ განლაგებული. მათ იმ სახლის ყველა აივანი, ყველა ფანჯარა მიზანში უნდა ჰქონოდათ ამოღებული. იქ კი ტერორისტი სნაიპერის შაშხანით იყო გადმომდგარი და მას არავინ ესროდა. კითხვის ნიშნებს ესეც იწვევს.

უსაფრთხოების არარსებობაზე როცა ვსაუბრობთ, აუცილებლად უნდა გავიხსენოთ, როგორ მოხდა ტერორისტების სადარბაზოდან მოსახლეობის ევაკუაცია. პრაქტიკულად ტერორისტების კარებთან ჩამოირბინა შვიდმა სართულმა. ხალხი სახლებიდან სპეცოპერაციის დაწყებიდან რამდენიმე საათში გამოიყვანეს. სად მიდიოდნენ, მათ მძევლები რომ აეყვანათ?! ტერორისტებს ამისთვის 5 საათი ჰქონდათ.

– თქვენი აზრით, რატომ არ აიყვანეს მძევლები?

– ეტყობა, მათ ხალიფატიდან ამაზე ბრძანება არ ჰქონდათ. მაგის გარდა, ჩატაევს საქართველოში, კერძოდ, პანკისის ხეობაში, ძალიან ბევრი ნათესავი ჰყავს. პანკისიდან გამომდინარე, ისინი საქართველოს არ ეხებოდნენ. იმედია, მომავალშიც ასე იქნება.

ფაქტია, რომ ტერორისტებს მთელი სტრატეგია ჰქონდათ. ისინი შენობაში ტაქტიკურად გადაადგილდებოდნენ. სახუმარო ამბავი ხომ არაა, რომ ასეულობით სპეცრაზმელს 3 ადამიანმა ტოლი არ დაუდოს. ამათ თვითლიკვიდაცია რომ არ მოეხდინათ, კიდევ დიდხანს გაგრძელდებოდა სპეცოპერაცია.

კადრებში ასევე ვნახეთ, რომ ერთ-ერთი ტერორისტი გახსნილი ხელყუმბარით „კობრისკენ“ მორბოდა. როგორც ჩანს, მას იმ „კობრაზე“ უნდოდა თავდასხმა. ის გარდაცვლილია და ვერ გავიგებთ, რა უნდოდა, მაგრამ არის ვარაუდი, რომ მას უნდოდა ამ „კობრის“ აღება, მოთავსდებოდა შიგნით და ამ მანქანით გაიყვანდა ჩატაევს სპეცოპერაციის ადგილიდან.

მოგეხსენებათ, რომ „კობრა“ დაჯავშნულია და ტერორისტები თუ მას ჩაიგდებდნენ ხელში, სიტუაცია გართულდებოდა. როგორც ჩანს, „კობრა“ იყო მათი ბოლო შანსი. ამ ვერსიას ამყარებს ისიც, რომ მისი ლიკვიდაციიდან ერთ წუთში აიფეთქა თავი ჩატაევმა შაჰიდის ქამრით. შაჰიდის ქამარი არ იყო საქართველოში და ახლა ესეც გვაქვს.

შაჰიდის ქამარი გვაქვს, მაგრამ დაცული საზღვარი არა, რაც ქვეყნის უსაფრთხოებას სერიოზულ პრობლემებს უქმნის.

– სახელმწიფო საზღვარს არ ვიცავთ თუ ვერ ვიცავთ?

– ჯერ ის უნდა გავიგოთ, რა არის საზღვარი. აშკარაა, რომ ხელისუფლების წარმომადგენლებმა არ იციან, რა არის საზღვარი. ფაქტია, რომ ჩვენი საზღვარი დაცული არ არის. გამოძიებაში ამერიკული მხარეა ჩართული და იმედი მაქვს, რომ სიმართლეს ისინი დაადგენენ.

ქვეყნის უსაფრთხოებას არანაკლებ პრობლემებს უქმნის ის, რაც დღეს მოზარდებში ხდება. ფაქტია, რომ მოზარდებთან მუშაობა არ მიმდინარეობს.

– წინა ხელისუფლების დროს თუ მიდიოდა ბავშვებთან მუშაობა?

– იმ პერიოდში, როცა მე სამართალდამცავ სტრუქტურებში ვმუშაობდი, არასრულწლოვანებს ჰყავდათ თავისი კურატორები, ისინი ძირითადად ახალგაზრდა გოგონები იყვნენ. ხელმძღვანელობა მათ სხვა დავალებას არ აძლევდა. მათ არასრულწლოვანებთან უნდა ემუშავათ.

მათ კარგად იცოდნენ, ვინ როგორი ბავშვი იყო და ყველასთან ინდივიდუალურად მიდიოდა მუშაობა. ახლა მართლა არ ვიცი, რა ხდება ამ მიმართულებით. აუცილებლად დავინტერესდები.

ამის გარდა, არსებობდა უბნის ინსპექტორის ინსტიტუტი. მათ თავიანთი სამოქმედო არეალი ჰქონდათ გამოყოფილი. უბნის ინსპექტორი ვალდებული იყო, იქ აღწერა ჩაეტარებინა.

უბნის ინსპექტორმა უნდა დაიაროს კორპუსი, სახლები. ყველა ოჯახში უნდა იყოს ნამყოფი. უნდა იცოდეს, ვინ არის აბორიგენი და ვინ ცხოვრობს ქირით. უნდა იცოდეს, ვინ არის საზღვარგარეთ წასული და ვინ არის სხვა ქვეყნის მოქალაქე.

უბნის ინსპექტორები ძალიან ბევრ ინფორმაციას გებულობდნენ. ამ ინსტიტუტს ახლაც გამართულად რომ ემუშავა, სამართალდამცავებს ეცოდინებოდათ, რომ გაბრიელ სალოსის ქუჩაზე ვიღაც ცალხელა კაცი ცხოვრობს ქირით. აღმოჩნდა, რომ მათ ამის შესახებ არაფერი არ იცოდნენ.

სახელმწიფოს უსაფრთხოების ჩამოშლაზე როცა ვსაუბრობთ, სწორედ ესაა ჩამოშლა. ინფორმაციას ვერ ღებულობს სახელმწიფო.

არასრულწლოვანებთან მომუშავეებმა იცოდნენ, რომელი ბავშვი იყო ძნელად აღსაზრდელი, რომელი ბავშვი გამოირჩეოდა აგრესიით. ასე მუშაობს პოლიცია და არა ისე, დანაშაული მოხდა და, „დავაი“, გამოვიძიოთ.

– ძნელად აღსაზრდელ ბავშვებთან როგორ მიდიოდა მუშაობა?

– მოდით, ამ ტერმინს არ გამოვიყენებ და ამის ნაცვლად ვიტყვი, ბავშვი, რომელიც გამოირჩევა უხეშობით. ისინი არასრულწლოვანებთან მომუშავე გოგონებს კონტროლზე ჰყავდათ აყვანილი. ხდებოდა ამ ბავშვებთან ვითომ შემთხვევითი შეხვედრა ქუჩაში. მათ სპეციალური ტრენინგები აქვთ გავლილი და მოზარდებთან კომუნიკაცია არ უჭირდათ. ეს ყველაფერი კეთდებოდა ისე, რომ ბავშვებს დისკომფორტი არ შექმნოდათ.

აი, ეს არის პრევენცია, რომ რაღაც არ მოხდეს. საშინელება მარტო იმ ბავშვს არ ემართება, ვისაც რამეს დაუშავებენ. დაცვა ამ ბავშვებსაც სჭირდება, რომლებმაც აგრესია გამოამჟღავნეს. ისიც ჩვეულებრივი ბავშვი იქნებოდა, მაგრამ არასწორი მიდგომის გამო გახდა ასეთი. ბავშვი ბოროტი ვერ იქნება. ბოროტებად არ იბადებიან, ბოროტები არასწორი მიდგომების შედეგად ხდებიან.

ორივე დაღუპული ბავშვის ოჯახში ვიყავი სამძიმარზე. რაღაც საშინელება ტრიალებდა. დათო სალარიძის მამა ჩემი მეგობარია. ჩვენმა საერთო მეგობარმა გვითხრა, ყველაზე დიდი მაცივარი მოვიტანეთ, მაგრამ არ ჩაეტიაო. ძალიან დიდი ზომის ბავშვი იყო, გოლიათი, რაგბზე დადიოდა.

ეს რა საშინელება ვნახე, იმ ოჯახებში ცოდვის ტრიალი იყო. ასეთი რამე აღარ უნდა განმეორდეს. ყველაფერი უნდა გაკეთდეს, რომ სკოლებში მსგავსი აღარ მოხდეს.

– ვინ უნდა აღკვეთოს ეს, მანდატურებმა?

– წლების წინ მანდატურის სამსახური ძალიან ეფექტური იყო. ახლა ყველა ხედავს, რომ მანდატურები ასეთი ეფექტურები ვეღარ არიან. ამას თავისი მიზეზები აქვს. მოდით, გავიხსენოთ, რა იყო მანდატურის სამსახურის შექმნის მიზანი. ეს მიზანი სკოლებში წესრიგის დამყარებას ისახავდა მიზნად, რასაც ვერ გააკეთებდა სკოლის დირექტორი.

იყო ასეთი მანკიერი მიდგომა და აზროვნება – სკოლა არის იგივე ოჯახი და აქედან ამბავი არ უნდა გავიდეს. მასწავლებლები და დირექტორები ცდილობდნენ, რომ თუ რამე ცუდი მოხდებოდა, ეს სამინისტროს ყურამდე არ მისულიყო.

ეს რომ აღმოფხვრილიყო, დიმიტრი შაშკინმა მანდატურის სამსახური შექმნა. მაშინ მანდატურები პირადად მინისტრის დაქვემდებარებაში იყო.

– ეს რას ნიშნავს, სკოლის დირექტორებიც ხომ მინისტრს ექვემდებარებოდნენ?

– ეს იმას ნიშნავდა, რომ მანდატურს არანაირი შეხება არ ჰქონდა სკოლის დირექციასთან. ის მხოლოდ სამინისტროსთან იყო პასუხისმგებელი და ის სკოლაში სამინისტროს თვალს და ყურს წარმოადგენდა. რამე თუ მოხდებოდა სკოლაში, ისინი საქმის კურსში აყენებდნენ სამინისტროს.

სკოლის დირექტორებს ეს არ უნდოდათ და ბევრად უფრო მოწადინებულები იყვნენ. ისინი მასწავლებლებსაც სთხოვდნენ პასუხს და ცდილობდნენ, წესრიგი ყოფილიყო.

ახლა რა ხდება? ხელისუფლების შეცვლის შემდეგ, მანდატურები სკოლის დირექტორს დაუქვემდებარეს. ისევ ერთი დიდი წრე შეიკრა და სკოლა ერთი დიდი ოჯახი გახდა. ახლა მანდატურს აღარ ევალება სამინისტროსთვის ინფორმაციის მიწოდება. სკოლის დირექტორმა კეთილი ნება თუ არ გამოიჩინა, სამინისტროში გადაცდომებზე აღარ მიდის ინფორმაცია. დირექტორი არაფერს ამბობს, რომ მისი იმიჯი არ შეიბღალოს. ეს კი საქმეს აფუჭებს.

სასწრაფოდ უნდა დაბრუნდნენ მანდატურები მინისტრის დაქვემდებარებაში. ამ სამსახურის მთავარი არსიც ის იყო, რომ სკოლა გაკონტროლებულიყო.

არ მინდა, რომ საქართველო ჩაცუცქულების ქვეყანა იყოს და ამიტომ მანდატურის ინსტიტუტმა ძველი ფუნქცია უნდა დაიბრუნოს.

ნაფიცმა მსაჯულებმა მკვლელობაში ბრალდებულს გამამტყუნებელი ვერდიქტი გამოუტანეს

ქუთაისის საქალაქო სასამართლოში ნაფიცმა მსაჯულებმა 45 წლის მამაკაცის მკვლელობისთვის ბრალდებულს გამამტყუნებელი ვერდიქტი გამოუტანეს.

მკვლელობა ცეცხლსასროლი იარაღით 2016 წლის 5 ნოემბერს ირაკლი აბაშიძის ქუჩაზე მოხდა, რომლის შედეგად სავალუტო ჯიხურის თანამშრომელი ადგილზე გარდაიცვალა. მომხდარი ფაქტიდან რამდენიმე დღეში შინაგან საქმეთა სამინისტრომ 24 წლის მამაკაცი დააკავა.

მის წინააღმდეგ საქმე სისხლის სამართლის კოდექსის 236 მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილით, ასევე, 179-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ პუნქტით და 109-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ პუნქტით აღიძრა.

ბრალდებულმა ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობით საქმის განხილვა თავად მოითხოვა.

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www.akhalitaoba.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

„ლევანი ჩემს ხელში გაიზარდა, ჩემს ხელში დაიწყო წვერის პარსვა. ჩემი გულის ნაწილი წაიღო ამ ბავშვმა“

„მე არ ვიცი, ვისი შვილია გაქცეული, მაგრამ მისი დედა და მამა როგორ იძინებენ, როგორ სუნთქავენ?!“

ნათია ხურცილავა

მომხდარი ტრაგედიის შემდეგ, 51-ე საჯარო სკოლაში გუშინ, 4 დეკემბერს, გაკვეთილები უჩვეულოდ დაიწყო.

სკოლაში ფსიქოლოგთა ჯგუფი მუშაობს. „ახალი თაობა“ განათლების და მეცნიერების სამინისტროს მანდატურის სამსახურის უფროსის მოადგილეს, ფსიქოთერაპევტ **ლევან ზარდალიშვილს** ესაუბრა.

– ბატონო ლევან, რა სიტუაციაა სკოლაში, მოსწავლეების განწყობა როგორია და რა შეგიძლიათ მომხდარ ფაქტზე გვითხრათ?

– მე აქ ვარ, როგორც აქტიური ფსიქოთერაპევტი, ამიტომ ფაქტის შეფასებას ვერ გავაკეთებ. რაც შეეხება სიტუაციას სკოლაში, სიტუაცია არის ისეთი, როგორიც უნდა იყოს. მოსწავლეები, მასწავლებლები შოკში არიან და ეს ნორმალურია მომხდარის ფონზე. ზოგიერთი ბავშვი თვითმხილველი გახდა ამ ფაქტის სრულიად შემთხვევით. საჭიროა გარკვეული დრო, რომ ამ ვითარებიდან გამოვიდნენ. გლოვას აქვს თავისი ფაზები, გარკვეული დროის შემდეგ მოსწავლეებთან ჩვენ, ფსიქოლოგები, აქტიურ მუშაობას დავიწყებთ. რაც შეეხება ფსიქოლოგთა მობილურ ჯგუფს, ეს ჯგუფი სკოლაში ჯერ კიდევ იქნება, სანამ შოკის ეტაპი არ გადაივლის.

– მანდატურის სამსახური რამდენად ადეკვატურია?

– მანდატური კონტროლზე იყო ორიენტირებული, ეს სისტემა შევცვალეთ და ახლა არის ზრუნვაზე ორიენტირებული. მანდატური ბავშვზე არის ორიენტირებული, მანდატური არის დატრენინგებული, მან იცის პირველადი, საგანგაშო ნიშნების ამოცნობა. მანდატურმა ხელში ჯოხი და ხმალი რომ დაიჭიროს, ეს მე გამართლებულად არ მიმაჩნია.

2013 წლიდან მანდატურის ფუნქციებში აღარ შედის სკოლის ადმინისტრაციის და პედაგოგის კონტროლი, მას შენარჩუნებული აქვს ბავშვზე ზრუნვის და პირველადი საგანგაშო ნიშნების ამოცნობის ფუნქცია. ამ შემთხვევაში მე არ მაქვს ინფორმაცია იმაზე, გაფრთხილებული ჰყავდათ თუ არა მანდატურებს მშობლები კონფლიქტური სიტუაციის შესახებ. ამაზე თავად იმ მანდატურებს უნდა ჰკითხოთ.

– პროკურატურის ინფორმაციით, პნევმატურ იარაღზეა საუბარი, რასაც 51-ე სკოლის დირექტორი უარყოფს. თქვენ რა ინფორმაცია გაქვთ?

– არანაირი ინფორმაცია არ მაქვს, მე უბრალოდ ვიცი, რომ ეს იყო სათამაშო იარაღი.

– ვისგან გაქვთ ეს ინფორმაცია?

– ბავშვებისგან ვიცი, მაგრამ მე ეს ინფორმაცია ოფიციალურად, დამოწმებულად არ მაქვს. ეს ინფორმაცია სამართალდამცავ ორგანოებს აქვთ.

– მანდატურს მოსწავლის ჩხრეკის უფლება აქვს? ბა თუ აქვს?

– არა, ჩხრეკის უფლება, პოლიციის გარდა, არავის აქვს. მანდატურს შეუძლია, ბავშვი შეამოწმოს. შემოწმება კი ნიშნავს უთხრას, მაჩვენე, რა გიდევს ჯიბეში, ჩანთაში. მაგრამ თუ ბავშვმა არ აჩვენა ჯიბე, ჩანთა, მანდატურს არ აქვს უფლება, თვითონ დაძალებით შეუმოწმოს. ასეთი არის კანონის მოთხოვნა.

თუ რამე ეჭვი გაჩნდება, თუ დაინახავენ, რომ ბავშვი აგრესიულია, ვიღაცას ემუქრება, ეს არის საფუძვლიანი ეჭვი იმისა, რომ ბავშვს მანდატურმა ჰკითხოს, რამე ხომ არ უდევს ჯიბეში. ბავშვი რომ გაჩხრიკო, უნდა გამოიძახო პოლიცია. ზოგადად, მანდატურს ბავშვთან ურთიერთობაში ზრუნვის ფუნქცია აქვს და არა – კონტროლის. მანდატურმა რომ პოლიციელი ჩაანაცვლოს, ასეთი პრაქტიკა არის აშშ-ში, მაგრამ ჩვენთან არა. აშშ-ში შემთხვევები ბევრად უფრო მეტად უსიამოვნო და სისხლიანია, ვიდრე აქ. ამიტომ ჩვენ ზრუნვის მეთოდს ვირჩევთ.

– ამართლებს მანდატურის ინსტიტუტი?

– ჩემი აზრით, ამართლებს.

– მომხდარი ფაქტის შემდეგაც ასე ფიქრობთ?

– ამერიკაში სკოლაში პოლიციელები დგანან, შეიარაღებული პოლიციელები. თუმცა, ცივილიზაციამ ვერ მოახერხა აქამდე ძალადობის აღკვეთა. მთავარია, მისი პრევენცია მოხდეს. მსგავსი ფაქტები მაქსიმალურად უნდა ავირიდოთ თავიდან.

– რატომ არის ძალადობის ასეთი მაღალი მაჩვენებლები სკოლებში?

– ძალადობა ძალიან სერიოზული პრობლემაა, რომელიც არა მხოლოდ სკოლაშია, არამედ მთელ ქვეყანაში. ეს პრობლემა რომ გადაწყდეს, ამისთვის საჭიროა ერთად კომპლექსური მუშაობა. სახელმწიფო, ოჯახი და სკოლა ერთად უნდა მუშაობდეს ამ პრობლემის წინააღმდეგ.

– თქვენ ამბობთ, რომ ძალადობა ჩვენი საზოგადოების პრობლემაა?

– დიახ. ძალადობა არის სერიოზული პრობლემა, რომელსაც სისტემური ბრძოლა სჭირდება.

– თავიდან ითქვა, რომ ფაქტს ჰყავს მოწმეები, მაგრამ მოსწავლეები გამოძიებასთან არ თანამშრომლობენ. ამ შემთხვევაში სად არის პრობლემა?

– ეს პრობლემა არის საზოგადოებაში და არა – სკოლაში. ადამიანს განცდა უჩნდება, რომ ეს მისი პრობლემა არ არის და რომ ეს პრობლემა მას არასდროს არ დაუდგება.

* * *

„ახალი თაობა“ 51-ე სკოლის პედაგოგებს, **შორენა ასათიანს** და **იმედა ხაზარაძეს** ესაუბრა.

– შორენა, სკოლაში პნევმატურ იარაღზე საუბრობს პროკურატურა.

– ტყუილია ეს ყველაფერი. მე ასე ვიცი, რომ საუბარი იყო სათამაშო თოფზე. პნევმატური იარაღი არის აბსურდი, მე ასე ვიცი.

– მომხდარზე რა შეგიძლიათ გვითხრათ?

– მოხდა საზარელი და საშინელი ფაქტი. ყველა კლასის წინ არის გაკრული, რომ ძალადობა, ბულინგი დაუშვებელია. აქცია მიდიოდა – არა ბულინგს!!! ესეები დაწერეს, დახატეს, ყველაფერი კეთდებოდა საიმისოდ, რომ ძალადობა აღგვეკვეთა. პატარა, უმნიშვნელო ინციდენტზეც კი იყო რეაგირება მანდატურის სამსახურის მხრიდანაც. ასეთი ტრაგედია რატომ უნდა მომხდარიყო ჩვენს სკოლაში, არ ვიცი.

– ჩხუბი და გარჩევები თუ იყო?

– არა, სკოლის შენობაში მსგავსი არაფერი არ გამიგია.

51-ე სკოლის პედაგოგები ხორავაზე მომხდარ ტრაგედიას იხსენებენ

იმედა ხაზარაძე ლევან დადუნაშვილის პედაგოგი იყო. მან თავისი მოსწავლის შესახებ გვიამბო:

– ის იყო განუმეორებელი ბავშვი, ამას ვამბობ არა იმიტომ, რომ ასე უნდა ვთქვა, ეს იყო რეალობა. ყურადღებიანი, თბილი, მოწესრიგებული ბავშვი იყო, გაკვეთილებზე მუდმივად დადიოდა, მე-11 კლასის მოსწავლე იყო. ოქროს მედლის კანდიდატი.

არ ვიცი, რა მოხდა. ყველა დამნაშავე უნდა დაისაჯოს, ამ საშინელი ტრაგედიის ჩამდენი უნდა მკაცრად დაისაჯოს, რომ აღარასოდეს აღარ განმეორდეს მსგავსი ტრაგედია. მე არ ვიცი, ვისი შვილია გაქცეული თუ მიმალვაშია, მაგრამ კითხვა მაქვს – მისი დედა და მამა როგორ იძინებენ, როგორ სუნთქავენ?! როგორ ათენებენ მისცემ, გეტყვის, შენ მაინც არავინ დაგიჯერებს, დირექტორთან ჩვენ ვიქნებით მართალი. ამ პოზიციამ მიგვიყვანა აქამდე. თავისუფლება ამ ბავშვებმა სხვანაირად აღიქვეს. ეს არ არის თავისუფლება, ეს არის სადიზმი, რისი მსხვერპლიც გახდნენ ლევანი და დათო.

– გარჩევები, ძალადობა, იარაღი, სმა, მოწევა – ეს პრობლემები დღეს სკოლებში რამდენად აქტუალურია?

– რომ ეწევიან, აქ ორი აზრი არ არის, მაგრამ დირექციის წარმომადგენლები მუდმივად გარეთ არიან და სკოლიდან გამოსულ ბავშვებს აკონტროლებენ, მაგრამ სახლამდე ვერავინ ვერ გაყვება, ვერანაირად ვერ იქნები დაზღვეული. 48 წელია, რაც პედაგოგი ვარ, უამრავი თაობა გავზარდე, მაგრამ მსგავსი ტრაგედია არ დატრიალებულა.

– რამდენად მძაფრია აგრესია მოსწავლეებში?

– მასწავლებელს დღეს ყველა უფლება აქვს ჩამორთმეული. ჩვენ ხმამაღალი სიტყვის თქმის უფლება არ გვაქვს სკოლაში. არ გვაქვს შენიშვნის მიცემის უფლება. რომ არ მიყვარდეს ლევანი და მისი თანაკლასელები, ჩემი მოსწავლეები, ასეთ დღეში არ ვიქნებოდი. რომ არ მაღელვებდეს ეს ბავშვები, არც შენიშვნას მივცემ და არც დამაინტერესებდა, როგორი ადამიანები გაიზრდებიან. ლევანი ჩემს ხელში გაიზარდა, ჩემს ხელში დაიწყო წვერის პარსვა. ჩემი გულის ნაწილი წაიღო ამ ბავშვმა.

– რა უნდა შეიცვალოს, რომ არ განმეორდეს მსგავსი ფაქტი?

– უნდა გამკაცრდეს, რაღაც უნდა შეიცვალოს. სხვა გამოსავალი არ არის. მასწავლებელი ნულამდეა დაყვანილი. მოსწავლეს შენიშვნას რომ

ზვიად ქორიძე: „საზოგადოებრივი მაუწყებელი კორუფციის შესაძლებლობას იფართოებს“

მედიაექსპერტ ზვიად ქორიძის შეფასებით, საზოგადოებრივ მაუწყებელთან დაკავშირებით პარლამენტის მიერ პირველი მოსმენით მიღებული ცვლილებები კორუფციული გარიგებისთვის უფრო მეტ შესაძლებლობას გააჩენს.

როგორც ქორიძე აცხადებს, ის ცვლილებები, რაც პარლამენტმა საზმაუწყებლის მოთხოვნის საფუძველზე გაითვალისწინა, არადემოკრატიული და მეტიც, შინაარსით კორუფციულია.

– საკითხი დგას ასე – ჩვენ უნდა ვილაპარაკოთ არა იმაზე, რა სურს საზოგადოებრივ მაუწყებელს, არამედ რა სურთ პარლამენტარებს და აუნებენ თუ არა მწვანე შუქს კორუფციას?! რამდენიმე პუნქტს გამოვყოფ: საზოგადოებრივი მაუწყებელი, რომელიც ხარჯავს საჯარო ფულს და რომლის მიმართაც საზოგადოებრივი ინტერესი მაღალია, ვალდებული უნდა იყოს, რომ შესყიდვები დადგენილი წესით განახორციელოს, თუმცა ცვლილებების მიხედვით, მას ეს ვალდებულება უბათილდება, რაც უკვე კორუფციული ნორმაა. კორუფციულია სტარტაპების დაფინანსებაც – სტარტაპი საწყისი პროექტია, რომლის ერთპიროვნულად განკარგვის უფლებასაც საზოგადოებრივი მაუწყებლის მენეჯმენტი იტოვებს, ის არ იქნება ვალდებული, რომ დეტალები შეუთანხმოს სამეთვალყურეო საბჭოს და თუ ისე მოხდა, რომ პროექტმა არ გაამართლა, პასუხისმგებლობა არავის ეკისრება. არც ხარჯვითი ნაწილია კანონმდებლობით განსაზღვრული. ბიუჯეტიდან აღებული ფული, ყოველგვარი პასუხისმგებლობის გარეშე, უბრალოდ გადაიყრება ან უფრო ზუსტად, ვიღაცის ჯიბეში ჩაიყრება. კორუფციული გარიგების მაღალი რისკი კომერციული რეკლამების მიმართულებითაც გამოიკვეთა. 2018 წლის ბიუჯეტში საზოგადოებრივი მაუწყებლის დაფინანსება 55 მილიონამდე იზრდება, ასეთი დაფინანსება კი ყველა კერძო ტელევიზიას ერთად არ გააჩნია. ქვეყანაში სარეკლამო ბაზარი მცირდება, ტელევიზიებს რეკლამები შეუმცირდათ და როდესაც ასეთ რთულ ვითარებაში საზოგადოებრივი მაუწყებელი დამატებით რეკლამას ითხოვს, ის ერთი მხრივ, სარეკლამო ბაზრის მონოპოლიზაციისკენ მიისწრაფვის და მეორე მხრივ, ქვეყანაში კერძო სივრცის მაქსიმალურად შეზღუდვისკენ, – აცხადებს ქორიძე.

მისივე თქმით, ცალკე შესასწავლია იმ საშუამავლო კომპანიების საქმიანობა, რომლებიც საზოგადოებრივ მაუწყებელს რეკლამის მოპოვებაში ეხმარებიან.

– საზოგადოებრივ მაუწყებელს უფლება აქვს, პირდაპირი რეპორტაჟებისა თუ სპორტული ან მუსიკალური ღონისძიებების გაშუქებისას ეთერში რეკლამა განათავსოს. მაგალითად, გაისად, რუსეთში მსოფლიო ჩემპიონატი ტარდება, რომლის გაშუქების უფლებას საზოგადოებრივი მაუწყებელი შეიძენს. არსებული კანონმდებლობით მას ეთერში რეკლამის განთავსების უფლება აქვს. 2016 წლის ევროპის ჩემპიონატის გაშუქებით საზოგადოებრივმა მაუწყებელმა რეკლამების სახით დიდი შემოსავალი მიიღო, თუმცა ამ შემთხვევაშიც კორუფციულ ხვრელებთან გვაქვს საქმე.

იმის გათვალისწინებით, რომ მსგავსი ტიპის რეკლამები საბიუჯეტო თანხას არ წარმოადგენს, შესაძლებელია, ის დოკუმენტში არც აღინუსხოს და ვისაც როგორ მოუნდება, ისე განკარგოს დამატებითი შემოსავლები.

ცალკე შესასწავლია იმ საშუამავლო კომპანიების საქმიანობა, რომლებიც საზოგადოებრივ მაუწყებელს რეკლამის მოპოვებაში ეხმარებიან. როგორც წესი, რეკლამიდან მინიმალური თანხა ილექება მაუწყებლის ბიუჯეტში, ძირითადი ნაწილი კი საშუამავლო რგოლებს რჩებათ – ეს არის კორუფცია და სწორედ ამ შესაძლებლობას იფართოებს საზოგადოებრივი მაუწყებელი. მეორე პრობლემაა ის, რომ მის ტელეეთერში კომერციული რეკლამის გაზრდა დარტყმას აყენებს კერძო, ძირითადად, პატარა არხებს, რომლებიც სასიცოცხლოდ აუცილებელ შემოსავალს დაკარგავენ.

თუ საზოგადოებრივ მაუწყებელს სხვა ტელევიზიებთან კონკურენცია სურს, მაშინ ისიც უნდა ითქვას, რომ ისეთი საწყისი სასტარტო პირობები, როგორიც საზოგადოებრივ მაუწყებელს აქვს, კერძო ტელევიზიებს არც კი დაესიზმრებათ. საზოგადოებრივი მაუწყებელი საზოგადოებას სჭირდება იმისთვის, რომ სამოქალაქო თვითმმართველობა განვითარდეს, სამაუწყებლო სივრცეში ქვეყანაში არსებული პრობლემები სწორად იყოს წარმოჩენილი, სამოქალაქო განათლების დონე ამაღლდეს, თუმცა ფაქტია, ამ კონცეფციას მისი მენეჯმენტი არ იზიარებს.

დიახ, ჩვენ გვჭირდება ეს ტელევიზია, თუმცა არ გვჭირდება არსებული მენეჯმენტი, რომელმაც ერთი წლის განმავლობაში მაუწყებელზე ისედაც დუნედ მიმდინარე პროცესი საერთოდ შეაჩერა და ნაცვლად იმისა, განვითარება ფორსირებულად დაეწყო, საზოგადოებრივ მაუწყებელს ჭაობისკენ მიაქანებს, – აღნიშნავს მედიაექსპერტი.

კომუნიკაციების ეროვნული კომისია ინტერნეტის ხარისხს გააკონტროლებს

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ ინტერნეტ მომსახურების ხარისხთან და მის კონტროლთან დაკავშირებით დადგენი-

ლების პროექტი გამოაქვეყნა. კომისიის წარმომადგენლის თქმით, კომისიაში ინტერნეტმომსახურების ხარისხთან დაკავშირებით შეხვედრა გაიმართა, რომელზეც მომსახურების მიმწოდებლები გაეცნენ ინფორმაციას, თუ რა სახით გეგმავს კომისია აღნიშნული საკითხის ტექნიკურ და სამართლებრივ დარეგულირებას.

დადგენილების მიხედვით, რეგულირდება როგორც საცალო, ისე საბითუმო ინტერნეტმომსახურების მიწოდების ვალდებულებები. ხელშეკრულებაში უნდა განისაზღვროს მიწოდებული მომსახურების მინიმალური, მაქსიმალური და ფაქტობრივად მიწოდებული სიჩქარე. ასევე, დადგინდება მიწოდებული სიჩქარის შემოწმებისა და გასაჩივრების პირობები.

ხორავას ქუჩაზე მკვლელობაში ბრალდებული გ.ჯ. პოლიციას ჩაბარდა

„კონფლიქტი უკვე ჩამქრალი იყო, როცა ერთმა მოზარდმა მეორეს ანთებული სიგარეტი სახეში ესროლა. ამის შემდეგ დაიწყო ჩხუბი“

გუშინ ხორავას ქუჩაზე მომხდარ მკვლელობაში ბრალდებულ ორივე პირს აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა შეეფარდა.

აღნიშნულით სასამართლომ პროკურატურის შუამდგომლობა დააკმაყოფილა, რომელიც ორივე ბრალდებულისთვის წინასწარი პატიმრობის შეფარდებას მოითხოვდა.

51-ე სკოლის ორი მოსწავლის მკვლელობაში პირველი ექსპერიმენტული სკოლის ორი მოსწავლეა ბრალდებული, რომლიდანაც ერთი დაკავებული იყო, მეორე კი მიმალვაში იმყოფებოდა. შესაბამისად, მიმალვაში მყოფ მოსწავლეს წინასწარი პატიმრობა დაუსწრებლად შეეფარდა.

აღნიშნულ საქმეზე შინაგან საქმეთა სამინისტრომ გუშინ კიდევ 3 პირი დააკავა.

გუშინ დილით კომენტარი გააკეთა პირველი ექსპერიმენტული სკოლის დირექტორმა ხათუნა ბარაბაძემ.

– სამწუხაროა, როდესაც ჩვენი სკოლის ორი მოსწავლე ამ ფაქტში მონაწილეა. ძალიან ვწუხვარ. ერთი, რომელიც იძებნება, სკოლაში საერთოდ არ ბრძანდებოდა. მეორე მოსწავლე 6 გაკვეთილის მსვლელობას ესწრებოდა და შემდეგ, რაც მოხდა, მოხდა. როგორ გავიდნენ, სად მივიდნენ, ამას პროკურატურა დაადგენს. სკოლის ხელმძღვანელებს და ასევე 51-ე სკოლის მოსწავლეებს საკმაოდ კარგი ურთიერთობა გვქონდა. მსგავსი ფაქტი, რომ დაპირისპირება ან ღელვა იყო, არ შეიმჩნეოდა. ადამიანი, რომელიც ჯიბეში დანას ჩაიდებს, მე ვფიქრობ, რომ ის პოტენციური მკვლელია, – განაცხადა სკოლის დირექტორმა.

მისი თქმით, გამორიცხული არაა, რომ სკოლის ტერიტორიაზე ცივი იარაღით შესვლა შესაძლებელია.

– ჩვენ არაერთხელ ჩაგვიტარებია ჩხრეკა, ოღონდ დადასტურებული ეჭვის შემთხვევაში. დეტექტორები არის, მაგრამ ეს იმხელა სკოლაა, რომ თუ დადასტურებული ეჭვი არ არის, კონკრეტული მოსწავლის მიმართ ჩხრეკას ვერ ვატარებთ, – განმარტა ბარაბაძემ.

* * *

გუშინ საზოგადოების ყურადღების ცენტრში მიმალვაში მყოფი ბრალდებული გ.ჯ. იყო.

მის შესახებ სხვადასხვა ინფორმაცია გავრცელდა.

კერძოდ, პრესა.ჯი-მ საზოგადოებას აცნობა, რომ გ.ჯ. ბერა ივანიშვილის ახლო მეგობრის, სერგი ნაკაიძის, დისშვილია. სერგი ნაკაიძე პროდიუსერია, რომელიც ამერიკის შეერთებულ შტატებში ცხოვრობს. მისი მეშვეობით საქართველოს ბევრი სხვადასხვა ცნობილი შემსრულებელი ესტუმრა.

მანამდე კი ფეისბუქზე ნინუკა ბორჩხაძემ სკანდალური პოსტი გაავრცელა.

„არსებობს ინფორმაცია, რომ ხორავას ქუჩაზე მომხდარი ტრაგედიის ერთ-ერთი მთავარი ფიგურანტი ამერიკაში მყოფი ბიზნესმენების ნაკაიძეების დისშვილია. ერთ-ერთი ნაკაიძე ამჟამად იმყოფება პროკურატურაში დაკითხვაზე. ჩემთვის



(და რასაკვირველია, არამხოლოდ ჩემთვის) ცნობილია, რომ მკვლელობაში ერთ-ერთ ეჭვმიტანილს რომელიღაც ეკლესია იფარებს, მილიონერი ბიძა კი ამ დროს საქმეს „აგვარებს“. რაც შეეხება სუბელიანს, პროკურატურას სუბელიანი ვანოს საქმეზე დეტალების გამხელით ემუქრება“, – ნათქვამი იყო პოსტში.

გ.ჯ.-ს მიერ ეკლესიისთვის თავის შესაძლო შეფარების შესახებ პატრიარქის მოსაყდრემ კომენტარი გააკეთა.

– ვერაფერს გეტყვით და არ მგონია, ეს სიმართლე იყოს, – განაცხადა მეუფე შიომ.

მოხსნიან თუ არა სკოლების დირექტორებს

მან გარდაცვლილი მოსწავლეების ოჯახებს მიუსამძიმრა:

– ეს არის ჩვენი ერის ტრაგედია, უწმინდესი ძალიან განიცდის ამ ამბავს და ყოველი ჩვენთაგანისთვის ეს არის ტრაგედია, საზარელი სისასტიკე და ასეთი რამ არ უნდა ხდებოდეს, ღმერთმა აცხონოს მათი სულები, – აღნიშნა მიტროპოლიტმა.

მოგვიანებით გავრცელდა ხმები, რომ ბრალდებულმა საქართველო დატოვა.

ამის გამო საქმის პროკურორმა იოსებ ხუციშვილმა სპეციალური განმარტება გააკეთა, რომლის მიხედვით, გამოძიების მიერ მკვლელობის ბრალდებით ძებნილ პირს საქართველოს საზღვარი გადაკვეთილი არ ჰქონდა.

როგორც პროკურორმა განმარტა, მიმდინარეობდა შესაბამისი ღონისძიებები აღნიშნული პირის დასაკავებლად.

– საქმეს იძიებს შინაგან საქმეთა სამინისტრო. სამინისტრო ინტენსიურ რეჟიმში ატარებს იმ საგამოძიებო და ოპერატიულ ღონისძიებებს, რომელიც საჭიროა, რომ დადგინდეს პირის ადგილსამყოფელი მისი დაკავების მიზნით. ამ დროისთვის, შინაგან საქმეთა სამინისტროში არსებული მონაცემებით, მას საქართველოს საზღვარი ოფიციალურად გადაკვეთილი არ აქვს, – განაცხადა ბ-მა ხუციშვილმა.

* * *

საზოგადოებაში არსებულ გაუგებრობას წერტილი თავად ბრალდებულმა დაუსვა, რომელიც გუშინ საღამოს პოლიციას ჩაბარდა.

გ.ჯ. საგამოძიებო უწყებაში ადვოკატთან ერთად მივიდა.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ ბრალდებულის ადვოკატმა ტარიელ კაკაბაძემ განუცხადა, ოჯახმა ახლახან დაადგინა ბრალდებულის ადგილსამყოფელი და მყისიერად მიიღო გადაწყვეტილება, რომ გ.ჯ. საგამოძიებო ორგანოში წარედგინათ, რომ ბრალდებულმა ითანამშრომლოს გამოძიებასთან და დაეხმაროს საგამოძიებო ორგანოებს ნათელი მოეფინოს მომხდარ ტრაგედიასთან დაკავშირებულ ყველა დეტალს.

ამის შემდეგ საღამოს შინაგან საქმეთა მინისტრმა გიორგი გახარიამ მცირე კომენტარი გააკეთა.

– დანაშაულში მონაწილე ყველა ფიგურა დადგენილი და დაკავებულია, – განაცხადა მინისტრმა.

მისი თქმით, ამ ეტაპზე სამძებრო ღონისძიებები აღარ მიმდინარეობს.

გახარიამ საქმის ირგვლივ სხვა დეტალებზე საუბარი არ ისურვა.

* * *

მედიაში ხორავას ქუჩაზე მომხდარი ტრაგედიის შესახებ ახალი დეტალები გახდა ცნობილი.

დაპირისპირების ერთ-ერთ მონაწილეს „ინტერპრესნიუსი“ ესაუბრა. როგორც მან სააგენტოსთან საუბრისას აღნიშნა, დაპირისპირება 51-ე სკოლის საპირფარეშოში სათამაშო თოფის გამო დაიწყო, რომელიც პლასტმასის ტყვიებს ისვრის. მისი ინფორმაციით, ერთ-ერთმა მოზარდმა მეორეს სწორედ სათამაშო თოფიდან ესროლა, რამაც პირველი დაპირისპირება წარმოშვა.

– საპირფარეშოში დაწყებულმა დაძაბულმა საუბარმა მოგვიანებით სკოლის გარეთ გადაინაცვლა, სადაც ერთ-ერთი მხარის ინიციატივით სხვა სკოლის მოსწავლეებიც ჩაერთვნენ. ხორავას ქუჩაზე გადანაცვლებისა და საუბრის შემდეგ, საპირფარეშოში დაწყებული კონფლიქტი ამოიწურა და ბავშვები შერიგდნენ, თუმცა შემდეგ უკვე ახალი დაპირისპირება წარმოიშვა ერთ-ერთი ბავშვის გამო, რომელიც ინციდენტში მონაწილე მეორე მოზარდს ჯერ სიტყვიერად დაუპირისპირდა, შემდეგ კი ანთებული სიგარეტი სახეში ესროლა. ფიზიკური დაპირისპირება სწორედ ამის შემდეგ დაიწყო, – აღნიშნა შემთხვევის თვითმხილველმა მოზარდმა.

„ნიუპოსტის“ ცნობით, დაპირისპირება მოზარდებს შორის სკოლის ტერიტორიაზე დაიწყო. მანდატურის სამსახურის წარმომადგენლები ფაქტს უშუალოდ შეესწრნენ და ისინი გააშველეს კიდეც. ამის შემდეგ კი სკოლის ტერიტორიას ისე გაარიდეს, რომ უკან არ გაჰყოლიან.

ბავშვები ყვებიან, რომ მათი ვარაუდით, დაპირისპირება კამერებსაც უნდა აღებეჭდათ, რომლებიც სკოლის ტერიტორიაზეა განთავსებული.

ამის შემდეგ, როგორც მოსწავლეები „ნიუპოსტს“ უყვებიან, მოზარდების ჯგუფმა ხორავას ქუჩისკენ გადაინაცვლა. მათი მონაყოლიდან ირკვევა, რომ ხორავას ქუჩის 4 ნომერში დაპირისპირება უკვე განმუხტული იყო, მოზარდები შერიგდნენ, თუმცა იქვე ახალ ინციდენტი მოხდა – ერთ-ერთმა მოზარდმა გარდაცვლილ ლევან დადუნაშვილს ანთებული სიგარეტი ესროლა, რის შემდეგაც ლევანმა მას უპასუხა, რომ უკვე შერიგდნენ და რაღა საჭირო იყო ასეთი საქციელი. მოსწავლეების თქმით, სწორედ ამის შემდეგ, ლევანიც და დათოც ინციდენტში მონაწილე არასრულწლოვნებმა გააკავეს და რამდენიმე მათგანი დანას ურტყამდა.

მათივე ინფორმაციით, ერთ-ერთი ახალგაზრდა, დანით ხელში სისხლიანი გარბოდა და იძახდა – „დროზე, გავიქეცით!“

სკოლის მოსწავლეები გარდაცვლილ მოზარდებს დადებითად ახასიათებენ და ამბობენ, რომ ორივე – ლევანიც და დათოც – საუკეთესო თვისებებით გამოირჩეოდნენ და კარგი მოსწავლეები იყვნენ.

51-ე სკოლის მოსწავლეებმა „ნიუპოსტთან“ საუბრის დროს, ვინაობის გამხელა არ ისურვეს. სააგენტოს ჟურნალისტი მათ ხორავას ქუჩაზე, ინციდენტის ადგილას ესაუბრა.

* * *

საზოგადოებაში მიდის საუბრები 51-ე საჯარო და პირველი ექსპერიმენტული სკოლების დირექტორების პასუხისმგებლობის შესახებ.

განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილე ლია გიგაური ჟურნალისტებთან ამბობს, რომ ამ ეტაპზე 51-ე საჯარო სკოლისა და პირველი ექსპერიმენტული სკოლის დირექტორების გათავისუფლების საკითხზე განათლების სამინისტროში მსჯელობა არ მიმდინარეობს.

მინისტრის მოადგილე ამბობს, რომ დირექტორების პასუხისმგებლობის საკითხი მას შემდეგ დადგება, რაც გამოძიება დაადგენს, რა მოხდა და ვინ იყო დამნაშავე.

– ჩვენ დაველოდებით გამოძიების დასრულებას და მისი დასრულების შემდეგ დავიწყებთ მსჯელობას მათ პასუხისმგებლობასთან დაკავშირებით, – აღნიშნა ლია გიგაურმა, რომელიც შს სამინისტროში უწყებათაშორის საკოორდინაციო საბჭოს შეხვედრას ესწრებოდა.

აფხაზები ევროკავშირში, ოსები – ევროპარლამენტში

რას აკეთებს საქართველოს ხელისუფლება

შორენა მარსაგიშვილი

პრემია-დანამატებში გართულ საქართველოს ხელისუფლებას საგარეო მიმართულებებისთვის და ოკუპირებული რეგიონებისთვის აღარ სცალია. სანამ ჩვენი პოლიტიკოსები მარიხუანის დეკრიმინალიზაციაზე მსჯელობდნენ, აფხაზები და ოსები ლამის მთელ ევროპას მოედნენ. თვე ისე არ გავა, სადმე თავიანთი წარმომადგენლობა არ გახსნან.

ოკუპირებული ცხინვალის რეგიონის საგარეო საქმეთა მინისტრს, დიმიტრი მედოევს თუ დავუჯერებთ, ევროპარლამენტის დეპუტატების ნაწილი სამხრეთ ოსეთს, როგორც დამოუკიდებელ სახელმწიფოს, ისე განიხილავს.

მედოევის განმარტებითვე, ცხინვალის დამოუკიდებლობის აღიარება მხოლოდ ოფიციალურ თბილისს არ უნდა.

რუსული მედიის ინფორმაციით, მედოევი ასე ევროპარლამენტის შენობაში ევროპულ-რუსულ ფორუმზე გაილექსა.

მისი თქმით, ფორუმზე ის, როგორც დამოუკიდებელი ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრი, ისე მიიწვიეს.

– მე აქ მომიწვიეს სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრის რანგში. ევროპარლამენტის დეპუტატები შეეგუვნენ რეალობას. ყველა დეპუტატმა მშვენივრად იცის, რომ სამხრეთ ოსეთი აღიარებული ქვეყანაა, ეს ფაქტია, ამას არ აღიარებენ მხოლოდ თბილისში. საქართველოს ნახევარმა იცის, რომ სამხრეთ ოსეთი გამოეყო მას, ამის გაგება არ სურთ პოლიტიკოსებს, მაგრამ ეს მათი პრობლემაა, – აღნიშნა რუსულ მედიასთან საუბარში მედოევმა.

ისე არ გაგიკვირდეთ თუ ცოტა ხანში ევროპარლამენტს რამე პრობლემები შეექმნას. მედოევი მაგარი თარსი ადამიანია. ცოტა ხნის წინ ის კატალონიაში იმყოფებოდა. ბარსელონაში მედოევმა სამხრეთ ოსეთის წარმომადგენლობა გახსნა.

იმ პერიოდისთვის კატალონიას დამოუკიდებლობის თემა ძალიან აქტიური იყო. ჩავიდა თუ არა მედოევი იქ, კატალონიის მთელი მთავრობა, კარლეს პუჩდემონის თამადობით, გაიქცა.

სანამ მედოევი ევროპარლამენტის შენობაში ყელყელაობდა, აფხაზებმა იტალიის მიმართულება აითვისეს.

რუსული და აფხაზური მედიის ცნობით, იტალიაში აფხაზეთის დიპლომატიური წარმომადგენლობა გაიხსნა.

„სპუტნიკ-აბხაზიას“ ინფორმაციით, წარმომადგენლობის გახსნას ოკუპირებული აფხაზეთის დე ფაქტო საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე კან ტანია დაესწრო.

ტანიას თქმით, აფხაზები წარმომადგენლობის გახსნას ევროკავშირშიც აპირებენ.

– იტალიაში ვიზიტის მიზანი, ამ ქვეყანასა და ევროკავშირში აფხაზეთის რესპუბლიკის დიპლომატიური წარმომადგენლობის რეგისტრაციის დასრულებაა, – ამბობს ტანია.

მისი თქმით, კლასიკური დიპლომატიური ფუნქციები მათ წარმომადგენლობას არ ექნება.

– წარმომადგენლობას აკრედიტაცია არ აქვს გავლილი, რაც გამოწვეულია იმით, რომ იტალიას აფხაზეთის დამოუკიდებლობა ჯერ არ უღიარებია. მიუხედავად ამისა, ჩვენ მუშაობას გავაგრძელებთ. ჩვენი მიზანია საერთაშორისო თანამეგობრობას აფხაზეთის პოზიცია გავაცნოთ, – აღნიშნა კან ტანიამ.

შალვა თადუმაძე: „გარემოს დაცვის სამინისტროს ცალკე დარჩენა აღარ განიხილება“

– გარემოს დაცვის სამინისტრო ცალკე დარჩეს, აღარ განიხილება, – ამის შესახებ მთავრობის საპარლამენტო მდივანმა შალვა თადუმაძემ განაცხადა.

როგორც თადუმაძემ განმარტა, ახლა მიმდინარეობს კონსულტაციები იმასთან დაკავშირებით, რომ გარემოს დაცვის გარანტიები კანონში ჩაიწეროს.

– გარემოს დაცვის სამინისტროსთან მიმართებაში პროექტში რჩება ის ჩანაწერი, რომლითაც წარდგენილი იყო თავიდანვე. მიმდინარეობს კონსულტაციები. განსაკუთრებული გარანტიები განისაზღვრება გარემოს დაცვასთან დაკავშირებით. ასევე გარანტიები განისაზღვრება გარემოს დაცვის პროგრამებთან მიმართებაში. შესაბამისად, ის რედაქცია, რომელიც წარდგენილი იყო პარლამენტში განიხილება იმ ფორმით, რა ფორმითაც არის დღეს. ის, რომ გარემოს დაცვის სამინისტრო ცალკე დარჩეს, აღარ განიხილება, საუბარი მიდის მხოლოდ იმ გარანტიებზე, რომელიც ხვალ დაფიქსირდება. გარანტიებში იგულისხმება, რომ არც ერთ შემთხვევაში არ შემცირდება გარემოს დაცვის ბიუჯეტი. ის გარანტიები, რომ სახელმწიფოსთვის პრიორიტეტულია გარემოს დაცვა, ეს დაფიქსირდება კანონის დონეზე, – განაცხადა შალვა თადუმაძემ.

სერგო რატიანი: „ხელისუფლება ასხივებს, რომ კრიმინალის მხარდამჭერია“

„მან უნდა თქვას, რომ დანაშაული დასჯადია!“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს პარლამენტის დეპუტატი **სერგო რატიანი** პასუხობს.

– ბატონო სერგო, ხორავას ქუჩაზე ტრაგედიის შემდეგ ოპოზიციის მხრიან აქტიურად კეთდება შეფასებები, რომ არაჯანსაღი გარემოა, რომ ხელისუფლება ახალისებს და ხელს უწყობს კრიმინალს. რაში გამოიხატება ყოველივე ეს? ხელისუფლება არ მუშაობს აქტიურად ამ მიმართულებით? რატომ დაგროვდა მოზარდებში ამხელა აგრესია?

– ეს არ არის ერთი პრობლემის გამოვლენა, აქ ბევრი პრობლემა დაგროვდა, ეს პრობლემები კომპლექსურია და ამ ყველაფერს კომპლექსური მიდგომა სჭირდება.

– უმრავლესობამ კანონის გამკაცრებაზე დაიწყო საუბარი.

– დღეს ჩვენთან ძალადობრივი გარემოა, სადაც ძალადობას ახალისებს და ამ ძალადობას უშვებს როგორც მშობელი, ისე მასწავლებელი, ისე ზოგადად საზოგადოება. აქ დიდწილად ხელისუფლების პასუხისმგებლობაა.

– ხელისუფლებასთან რა სახის პრეტენზიები გაქვთ?

– ის ასხივებს, რომ კრიმინალის მხარდამჭერია. „ქართული ოცნება“ მოვიდა, როგორც ქუჩის აკადემიის ნაწილი, მისთვის ეს მენტალობა ძალიან მნიშვნელოვანი იყო და, რაც მთავარია, ძალიან დიდი აგრესია იყო სამართალდამცავების მიმართ, უსაფრთხოების სისტემის მიმართ. ასევე წახალისებული იყო და გარკვეულწილად მოკავშირედ გაიხადეს კრიმინალი და ქუჩური მენტალიტეტი. ხშირ შემთხვევაში კრიმინალები გამოაცხადეს პოლიტპატიმრებად და გმირებად. დაუშვებელია, ხელისუფლება ახალისებდეს მსგავს რაღაცებს. კრიმინალებმაც იციან, რომ მათ მოკავშირე ჰყავთ ხელისუფლებაში.

– საჯარო სკოლებში არ არის ჯანსაღი გარემო, პედაგოგებს დაკარგული აქვთ ავტორიტეტი. აქაც ხელისუფლების ბრალეულობას ხედავთ?

– რაც შეეხება თვითონ სკოლის გარემოს, ყველაფერი უნდა გაკეთდეს ამ პრობლემების აღმოსაფხვრელად. ერთი მხრივ, უნდა შეიცვალოს საგანმანათლებლო კულტურის სივრცე, განათლება და კულტურა უნდა იყოს წახალისებული, ასევე სპორტი და ზოგადად ბავშვებისთვის ალტერნატიული განვითარების შესაძლებლობები. თუმცა, ეს არ არის საკმარისი. მეორე მხრივ, აუცილებელია სიმკაცრე თუნდაც ცივ იარაღთან მიმართებაში. 2012 წლიდან ჩამოიშალა მანდატურის სამსახური.

– რატომ, ეს სამსახური ხომ ისევ არსებობს საჯარო სკოლებში?

– ეს სამსახური აშკარად დასახვეწი იყო, გარკვეული პრობლემები იყო, მაგრამ 2012 წლის შემდეგ ეს სამსახური მოშლილია და ის ორმაგ დაქვემდებარებაშია, ამიტომ ის ნორმალურად არ ფუნქციონირებს. დღეს მისი დაქვემდებარება არის სრულიად გაურკვეველი და, ბუნებრივია, თავის

მოვალეობას ვერ ასრულებს. დღეს ჩვენ გვაქვს ძალადობრივი გარემო, რომელიც, სამწუხაროდ, ჩვენს საზოგადოებაში წახალისებულია. ამას ხედავენ ახალგაზრდები და ამ ფონზე იზრდებიან. ხელისუფლებიდან მომავალი რიტორიკა მიმართული იყო სამართალდამცავების წინააღმდეგ.

– თქვენმა ხელისუფლებამ ყველაფერი მოწესრიგებული დატოვა და „ოცნებამ“ ჩამოშალა სისტემა თუ რისი თქმა გსურთ?

– პრობლემები, რასაკვირველია, იყო და პრობლემებს სჭირდებოდა მოგვარება, თუმცა ზოგადად სამართალდამცავი უწყებების მიმართ იყო გადაჭარბებული აგრესია, კრიმინალი კი იყო წახალისებული. გმირებად და პოლიტპატიმრებად გამოაცხადეს და ეს თავისთავად ძალიან სერიოზულ პრობლემას ქმნის. დანის ტარება გახდა ჩვეულებრივი მოვლენა და ეს არის ხელისუფლების პასუხისმგებლობა! ჩხრეკა არ შეიძლებაო, გასინჯვა და ასე შემდეგ. ამ რიტორიკამ წაახალისა ეს ახალგაზრდები.

მე მახსოვს, რომ „ოცნების“ მოსვლიდან პირველ დღეებში მიდიოდა საუბარი, რომ საერთოდ გაეუქმებინათ მანდატურის სამსახური და პირველივე თვეებში სკოლებში დანაშაული სამჯერ გაიზარდა. პრობლემები ძალიან სერიოზულია და ეს ყველაფერი ერთად საჭიროებს მოგვარებას.

– თქვენ მაინც ხელისუფლების პასუხისმგებლობას ხედავთ და მის დანაშაულზე მიუთითებთ?

– ეს ასეა, ხელისუფლება ყოველთვის არის გარკვეული დოზით დამნაშავე. მე არ ვამბობ, რომ აბსოლუტურად ყველაფერში დამნაშავე ხელისუფლებაა. დიდი დოზით პასუხისმგებლობა მსგავს საკითხებზე აქვს ხელისუფლებას. ქვეყანაში კრიმინალის ზრდა მისი პასუხისმგებლობაა.

– მაინც რა უნდა გაკეთდეს და როგორ უნდა დაიწყოს ამ პრობლემების მოგვარება?

– პირველ რიგში, გზავნილი უნდა იყოს, რომ კრიმინალი დასჯადია!

ვახტანგ მაისაია: „ჩატაევს შაჰიდის ქამრით თავი რომ მოეკლა, მის ნაწილებსაც ვერ იპოვიდნენ“

„საქართველოში არსებობს დაიშის მიძინებული ქსელი „გურჯისტანის ვილაიეთის“ სახელწოდებით“

გულიკო ბალაძე

– საქართველოში არსებობს დაიშის მიძინებული ქსელი „გურჯისტანის ვილაიეთის“ სახელწოდებით. ეს ფაქტი ამერიკის სპეცსამსახურებმაც დაადასტურეს. ჩატაევის გამოჩენა, სულ მცირე, ამ ფაქტს ადასტურებს, – აცხადებს „ახალ თაობასთან“ ექსპერტი სამხედრო-პოლიტიკურ საკითხებში **ვახტანგ მაისაია.**

– მას შემდეგ, რაც ცნობილი გახდა, რომ ბერი გაბრიელ სალოსის ქუჩაზე ტერორისტებს შორის ახმედ ჩატაევიც იყო, რა შეიცვალა და რა სურათი დაინახეთ?

– ჩატაევის გამოჩენა საქართველოში ერთგვარ შოკისმომგვრელ ფაქტად შეიძლება მივიჩნიოთ.

– რატომ?

– იმიტომ, რომ ჩატაევი რიგითი ტერორისტი არ იყო. ის იყო დაიშის გავლენიანი ფიგურა. ისლამური სახალიფოს მაღალ იერარქიას ეკუთვნოდა. მასზე საერთაშორისო ძებნა იყო გამოცხადებული, სახელმწიფო დეპარტამენტმა 5 მილიონი დოლარი გამოყო, არაერთი ქვეყნის სპეცსამსახური ეძებდა, მათ შორის, თურქეთის და საქართველოში მისი ლიკვიდაცია ერთი მხრივ წარმატებული იყო, მეორე მხრივ, არსებობს კითხვები, თუ როგორ მოხვდა ჩატაევი საქართველოში, სად გადაადგილდებოდა. კითხვები გაუჩნდა ამერიკის ელჩს იან კელისაც. ამიტომ სპეციალურად მისი ვინაობის დასადგენად, ამერიკის სპეციალური საგამოძიებო ბიუროს სერიოზული ჯგუფიც კი ჩამოვიდა.

აქედან გამომდინარე, ისმება კითხვა, ჩვენი სახელმწიფოს უსაფრთხოების სისტემა რამდენად არის გამართული, ეფექტური, რამდენადაა დაცული ქვეყნის სახელმწიფო საზღვრები. საზღვაო საზღვრები აბსოლუტურად დაუცველია. რა ვითარებაც არის ამ კუთხით, ამას საზღვაო სივრცის დაცვას არ ვუწოდებ. სახმელეთო საზღვრების დაცულობის კუთხითაც არის სერიოზული კითხვები. ამაზე კითხვები ადრეც არსებობდა და, როგორც გამოჩნდა, ახლაც არის კითხვები. ტერორიზმის კუთხით ასეთი სერიოზული გამოწვევა საქართველოში დადებითად არ წაადგება საქართველოს იმიჯსაც და დღევანდელ მის სტატუსქვოსაც.

– ამერიკის ელჩს იან კელისაც კითხვები გაუჩნდა. აქედან გამომდინა-

რე, ამერიკის მხარესთან ურთიერთობების გაფუჭების საშიშროება ხომ არ შეიქმნა?

– აქ ისეთი ნიუანსია, ასეთი ტენდენცია, პრინციპში, არ გამოირიცხება. მეორე მხრივ, ტერორისტი იქნა ლიკვიდირებული და ერთგვარად წარმატებულ შემთხვევადაც შეიძლება განვიხილოთ. თავიდანვე, სპეცოპერაციიდან რამდენიმე საათში ვთქვი, რომ რა ხარვეზებზეც უნდა ვილაპარაკოთ, ეს სპეცოპერაცია წარმატებულად უნდა შეფასდეს, რადგან არ დაიღუპა მოსახლეობა, არ იქნა აყვანილი მძევლები, ვერ გავიდნენ სამშვიდობოს და ადგილზე იქნენ ლიკვიდირებული.

მეორე მხრივ, სერიოზული კითხვები ისმის: რატომ გახანგრძლივდა დიდხანს ანტიტერორისტული სპეცოპერაცია, რატომ იყო სახელმწიფო სტრუქტურებს შორის არაკოორდინირებული სპეცოპერაცია და არაგონივრული. ახლა გამოჩნდა ინფორმაცია, თითქოს ჩატაევი აპირებდა ჩაბარებას, მაგრამ შემდეგ არ მოხდა ამის განხორციელება. თუმცა, როცა ანტიტერორისტული სპეცოპერაცია ხორციელდება, იქ არ აქვთ მიზნად, რომ მაინცდამაინც ტერორისტები ცოცხლად აიყვანონ. ვინც იცის სპეცოპერაციის სპეციფიკა, იქ ეს დაუწერელი კანონია. თუმცა, თუ ჩატაევი ჩაბარებას აპირებდა, რატომ იყო ის ლიკვიდირებული, როგორც ამას ზოგიერთი საინფორმაციო საშუალება ავრცელებს.

– არაგონივრული რა იყო ამ სპეცოპერაციის დროს?

– სპეცოპერაციას ეტყობოდა, რომ არასწორად იყო დაგეგმილი. განხორციელების დროსაც ეტყობოდა ხარვეზები. ეს აშკარაა. ასეთი სერიოზული ტიპის სპეცოპერაციისთვის მზად არ ვიყავით, რაც ძალიან ცუდი ფაქტია. რომ არა უშუალოდ ჩვენი პროფესიონალი სპეცრაზმელების გმირობა, შეიძლება სიტუაცია საკმაოდ სავალალო შედეგებით დასრულებულიყო.

– თქვენ თქვით, მძევლები არ იქნენ აყვანილიო. თვითმხილველები ამბობენ, ტერორისტებს რომ სდომოდათ, ძალიან ადვილად შეძლებდნენ მძევლების აყვანას და ხალხისთვის სროლას, მაგრამ ეს არ გააკეთესო. მაშინ მათი მიზანი რა იყო, რატომ იყვნენ იქ შეიარაღებული?

– ტერორისტებს რამდენიმე მიზანი შეიძლებოდა ჰქონოდათ. მათ არ უნდოდათ გამეღავნებულიყო, რომ მათ შორის იყო ახმედ ჩატაევი, დაიშის წარმომადგენელი. მძევლების აყვანის შემდეგ, გამჟღავნდებოდა, რომ იქ ჩატაევი იმყოფებოდა. ამიტომ ტერორისტები ცდილობდნენ, ხალხს მორიდებოდნენ, ალყა გაერღვიათ და სამშვიდობოს აღმოჩენილიყვნენ. ფაქტობრივად, ეს არის ჯიჰადისტების ხელწერა, მათ ასწავლიან, ასეთი სპეცოპერაციების დროს როგორ გაარღვიონ ალყა.

ჯიჰადისტები წარმატებით ახორციელებენ ასეთ ტაქტიკას სხვადასხვა ქვეყნებში. რუსეთში, ერთ-ერთ რაიონში, გაცილებით სერიოზული ხარვეზები დაუშვეს სპეცოპერაციის დროს, ვიდრე ჩვენ გვქონდა, ტერორისტებმა გაარღვიეს ალყა და უსაფრთხო ადგილას აღმოჩნდნენ. ეს თანამედროვე ჯიჰადისტების კონტექსტში შემთხვევითობა არ არის. ამიტომ, ბუნებრივია, ელოდებოდნენ, როგორც კი პირველი შეტევა მოხდებოდა, ისინი წავიდოდნენ ალყის გარღვევაზე იმ ფონზე, რა ხარვეზებიც არსებობდა ამ სპეცოპერაციის დროს.

– რა ხარვეზები არსებობდა?

– როდესაც ჟურნალისტები მიუშვეს იმ დონეზე, რომ ისინი პირდაპირ ეთერში გადასცემდნენ სპეცოპერაციის მიმდინარეობას.

– ძალოვნების მხრიდან გარკვეული ტაქტიკა ხომ არ იყო და სპეციალურად ხომ არ მიუშვეს ჟურნალისტები?

– როგორ გეკადრებათ, ტაქტიკა კი არა, სპეცოპერაციის დროს სრული ანარქია და ქაოსი იყო. პროფესიონალები მოგვიანებით გამოიყვანეს ოპერაციის მართვაში, რომლებსაც, ელემენტარულად ჰქონდათ იმის შნო, რომ მოეხდინათ ტერორისტების ლიკვიდაცია. ბოლო ეტაპზე მოხდა ანტიტერორისტული დეპარტამენტის სპეცრაზმის ჩართვა, რომლებიც არიან ამ დარგის სპეციალისტები. სხვადასხვა სპეცსამსახურების შიდა სახელმწიფოებრივი უსაფრთხოების სტრუქტურებს შორის კოორდინაცია აბსოლუტურად არ ხორციელდებოდა. ასე ჩანდა.

– იარაღი როგორ მოხვდა იმ ბინაში?

– იარაღი შეიტანეს, როცა იმ ბინაში ტერორისტები შესახლდნენ. ეს იყო მათი პირადი იარაღი, რომელიც მათი უსაფრთხოების გარანტიას წარმოადგენდა. იმ იარაღით უნდა მიეღწიათ დანიშნულების ადგილამდე. სპეციფიკური იარაღი ჰქონდათ. მათ შორის, სნაიპერული ტიპის შაშხანაც კი დავაფიქსირე კადრებში. ასეთი სპეციფიკური იარაღის შეძენა საქართველოში საკმაოდ რთული ამოცანაა. იარაღს სჭირდება შეჩვევა, რომ დაამუშაო შენი სტილი. ამ იარაღით უნდა მიეღწიათ იმ დანიშნულების ადგილამდე, სადაც ისინი მიდიოდნენ.

– სად მიდიოდნენ ბერი გაბრიელ სალოსის ქუჩაზე დაბინავებული ტერორისტები? მათი საბოლოო ამოცანა რა იყო?

– ამ ტერორისტებმა შემთხვევით არ შეარჩიეს ისნის რაიონი და ის ტერიტორია, რომელიც ახლოს არის სატრანსპორტო კომუნიკაციებთან. იქვეა საავტომობილო, სარკინიგზო, საავიაციო კომუნიკაციის საშუალებები. ეს ის ადგილია, საიდანაც მოსახერხებელია გადაადგილება ყველაზე იოლად. ბინა შერჩეული იყო სატრანსპორტო კომუნიკაციების ახლოს. მათი მიზანი საბოლოოდ საქართველოში დარჩენა არ იყო. რაც უფრო ჩუმად იქნებოდნენ, მით უკეთესი. მთავარია, ის ადამიანი უსაფრთხოდ ყოფილიყო, რომლის გულისთვისაც ეს ჯგუფი გადაადგილდებოდა.

– ვისი გულისთვის გადაადგილდებოდა ეს ჯგუფი? ჩატაევის გულისთვის?

– რა თქმა უნდა. დანარჩენები იყვნენ ჩატაევის პირადი დაცვის შემადგენლობა, მათი მიზანი იყო ჩატაევის დაცვა და მისი უსაფრთხოების უზრუნველყოფა, საჭიროების შემთხვევაში მისი გადაყვანა სხვა, უსაფრთხო ადგილას.

– თუ საქართველო ჩატაევისა და მისი ჯგუფისთვის საბოლოო დანიშნულების ადგილი არ იყო, მაშინ აქ ჩამოსვლის მიზანი რა იყო?

– ტრანზიტი. შს მინისტრმა განაცხადა, ჩატაევი არალეგალური გზით გადმოვიდაო. თუ ასეა, მაშინ გამოდის, ისლამურ სახელმწიფოს ჰყავს თავისი სოლიდური მომხრეების ჯგუფი, რომელმაც უზრუნველყო ჯერ ჩატაევის გადმოყვანა ერთი ქვეყნიდან მეორე ქვეყნის ტერიტორიაზე, უზრუნველყვეს მისი გადაადგილება 600 კილომეტრის მანძილზე. ამისთვის სამი მანქანის გამოცვლა დასჭირდებოდათ, უზრუნველყვეს ის კონსპირაციული ბინით. როგორც ჩანს, იყო კარგად ორგანიზებული ქსელი.

გახსოვთ, მე რომ ვამბობდი, საქართველოში იყო ტერორისტული ქსელი „გურჯისტანის ვილაიეთი“. ის, რაც გაახმოვანა შს მინისტრმა, ადასტურებს ჩემს ამ განცხადებას. როგორც ჩანს, საქართველოში არსებობს დაიშის მიძინებული ქსელი „გურჯისტანის ვილაიეთის“ სახელწოდებით. ეს ფაქტი ამერიკის სპეცსამსახურებმაც დაადასტურეს. ჩატაევის გამოჩენა, სულ მცირე, ამ ფაქტს ადასტურებს.

– რუსეთში მიდიოდნენ?

– არაა სავალდებულო რუსეთში გადასვლა. ისინი შეიძლება გადასულიყვნენ მეზობელ სახელმწიფოში, იქიდან კი – თავიანთი მეკავშირეების მეშვეობით ცენტრალურ აზიაში, სადაც დაიშს აქვს ყველაზე ძლიერი დასაყრდენი. დღეს დაიში შუა აზიაში ახორციელებს თავის მეგაპროექტს „ხორასანის“ სახელწოდებით. ის მოიცავს ირანის ტერიტორიას, ავღანეთს, პაკისტანს, შუა აზიის ნაწილს.

– ანუ ტერორისტებმა სირიაში დაკარგეს პოზიციები და სხვა ქვეყნების ტერიტორიაზე გააძლიერეს მუშაობა?

– სირიაში პოზიციები დღესაც შენარჩუნებული აქვთ, მიუხედავად იმისა, რომ დიდ ქალაქებზე კონტროლი დაკარგეს. ისინი აპირებენ, მთავარი მიზიდულობის გრავიტაციის ცენტრი ახლა ცენტრალური აზიის მიმართულებით გადაიტანონ. ხორციელდება მუშაობა, რომ მოხდეს 4-დან 10 ათასამდე დაიშის მებრძოლის გადასროლა ავღანეთის მიმართულებით.

ჩატაევი და მისი ჯგუფი კონსპირაციულ ბინაში აქ გამოზამთრებას აპირებდნენ და მერე წავიდოდნენ. ჩატაევს შაჰიდის ქამრით თავი არ მოუკლავს, შაჰიდის ქამრით თავი რომ მოეკლა, მის ნაწილებსაც ვერ იპოვიდნენ.

11 თვეში საქართველოს 7 მილიონამდე საერთაშორისო მოგზაური ეწვია

ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა საქართველოში ნოემბრის თვეში შემოსული საერთაშორისო ვიზიტორებისა და ტურისტების სტატისტიკური მონაცემები შეაჯამა. გიორგი ჩოგოვაძის განცხადებით, 2017 წლის იანვარ-ნოემბრის თვის მონაცემებით საქართველოს 6,954,932 საერთაშორისო მოგზაური ეწვია, რაც 1,081,031-ით მეტია წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით (ზრდა +18.4%).

ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ხელმძღვანელის განცხადებით, შინაგან საქმეთა სამინისტროს მონაცემებზე დაყრდნობით, 11 თვეში იმ უცხოელი მოგზაურების ანუ ტურისტების რიცხვმა, რომლებმაც 24 საათი და მეტი დაჰყვეს საქართველოში, 3,243,963 შეადგინა, რაც 701,371-ით მეტია 2016 წლის იანვარ-ნოემბრის მაჩვენებელზე (ზრდა +27.6%).

მისივე ინფორმაციით, პოზიტიური ტენდენცია ნარჩუნდება ევროკავშირის ქვეყნების მიმართულებიდან, საიდანაც საქართველოში ჩამოსვლების რაოდენობის ზრდის კუთხით, იანვარ-ნოემბერში გამოირჩნენ გაერთიანებული სამეფო +39.7%, ავსტრია +35.6%, ნიდერლანდები +32.7%, ესპანეთი +30.5%, საფრანგეთი +29.7% და გერმანია +27.4%. განსაკუთრებული ზრდა დაფიქსირდა შემდეგი ქვეყნებიდან: იორდანია +327.2%, საუდის არაბეთი +165.7%, ქუვეითი +152.4%, ირანი +121.1%, ინდოეთი +66.6%, უზბეკეთი +57.9%, ჩინეთი +53.2%, აშშ +24.2% და სხვა.

2017 წლის იანვარ-ნოემბრის თვეში ყველაზე მეტი ვიზიტი აზერბაიჯანიდან (+10.9%), სომხეთიდან (+14.9%), რუსეთიდან (+33.4%), თურქეთიდან (-3.2%) და ირანიდან (+121.1%) განხორციელდა.

რაც შეეხება 2017 წლის ნოემბრის თვის სტატისტიკას, ამ თვეში საქართველოს 524,108 საერთაშორისო მოგზაური ეწვია, რაც 64,851-ით მეტია წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით (ზრდა +14.1%).

გიორგი ჩოგოვაძის თქმით, ნოემბრის თვის მაჩვენებლებით იმ უცხოელი მოგზაურების ანუ ტურისტების რიცხვმა, რომლებმაც 24 საათი და მეტი დაჰყვეს საქართველოში, 201,056 შეადგინა, რაც 36,044-ით მეტია 2016 წლის ნოემბრის მაჩვენებელზე (ზრდა +21.8%).

2017 წლის ნოემბრის თვეში ყველაზე მეტი ვიზიტი სომხეთიდან (+7.2%), აზერბაიჯანიდან (+11.2%), თურქეთიდან (+6.8%), რუსეთიდან (+35.2%) და ირანიდან (+92.5%) განხორციელდა.

ნოემბერში პოზიტიური ტენდენციაა ევროკავშირის ქვეყნების მიმართულებიდან, საიდანაც საქართველოში ჩამოსვლების რაოდენობის ზრდის კუთხით, ნოემბრის თვეში გამოირჩნენ: გაერთიანებული სამეფო +34.5%, საფრანგეთი +18.3%, იტალია +14.8% და სხვა. განსაკუთრებული ზრდა დაფიქსირდა შემდეგი ქვეყნებიდან ირანი +92.5% , ისრაელი +42.3%, ბელარუსი +41.5%, ინდოეთი +40.6%, რუსეთი +35.2%, ა შ შ +19.3% და სხვა.

გიორგი ჩოგოვაძის განცხადებით, 2017 წლის II კვარტალის მონაცემებით შემოსავალი უცხოური ტურიზმიდან საქართველოში შეადგენდა 658.7 მილიონ დოლარს (ზრდა +27.8%), რაც 143 მილიონით მეტია წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე. 2017 წლის I-II კვარტლების ჯამური მონაცემებით შემოსავალი უცხოური ტურიზმიდან საქართველოში შეადგენს 1.1 მილიარდ (1,093,280,615) დოლარს (ზრდა +26%), რაც 225 მილიონი დოლარით მეტია წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე.

ტურიზმის წილი მთლიან შიდა პროდუქტში 2017 წლის მეორე კვარტალის მონაცემებით შეადგენს 6.9%-ს. ზრდა წინა წელთან შედარებით +12.2%-ია.

გიორგი ჩოგოვაძის განცხადებით, 2017 წლის I-II კვარტლების ჯამური მონაცემებით, ტურიზმის წილმა მთლიან შიდა პროდუქტში 6.7% შეადგინა. ზრდა წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით +8.8%.

2017 წლის იანვარ-ოქტომბრის მონაცემებით, საერთაშორისო მოგზაურების მიერ უცხოური საგადასახადო ბარათებით განხორციელებულმა ოპერაციებმა 1,799,989 ათასი ლარი შეადგინა, წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით +33.2%-იანი ზრდა დაფიქსირდა.

2017 წლის ნოემბერში საქართველოში ინფლაციის დონემ წინა თვესთან შედარებით 1,1% შეადგინა

2017 წლის ნოემბერში საქართველოში ინფლაციის დონემ წინა თვესთან შედარებით 1,1%, ხოლო წლიური ინფლაციის დონემ 6,9% შეადგინა, – ამის შესახებ ინფორმაციას საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური ავრცელებს.

– მოცემულ პერიოდში ინფლაციის მაჩვენებლის ფორმირებაზე ძირითადი გავლენა იქონია ფასების ცვლილებამ შემდეგ ჯგუფებზე: ტრანსპორტი: ჯგუფში ფასები გაიზარდა 2,8 პროცენტით, რაც ინფლაციის მთლიან მაჩვენებელზე აისახა 0,39 პროცენტული პუნქტით. ფასები გაიზარდა სატრანსპორტო საშუალებების შეძენაზე (9,5%), სატრანსპორტო მომსახურებაზე (4,5%) და პირადი სატრანსპორტო საშუალებების ექსპლუატაციაზე (1,6 %);

სურსათი და უალკოჰოლო სასმელები: ჯგუფში ფასები გაიზარდა 0,8 პროცენტით, რაც ინფლაციის მთლიან მაჩვენებელზე 0,26 პროცენტული პუნქტით აისახა. ფასები გაიზარდა ქვეჯგუფებზე: ბოსტნეული და ბაღჩეული (6,5%), შაქარი, ჯემი და სხვა ტკბილეული (1,4 %), რძე, ყველი და კვერცხი (1,2 %) და ზეთი და ცხიმი (0,7 %). ამასთან, ფასები შემცირდა ხილსა და ყურძენზე (-9,2 %);

ალკოჰოლური სასმელები, თამბაქო: ფასები გაიზარდა 1,7 პროცენტით, რაც 0,12 პროცენტული პუნქტით აისახა მთლიანი ინდექსის ზრდაში. ჯგუფში ფასების მატება დაფიქსირდა როგორც თამბაქოს ნაწარმზე (1,9%), ისე ალკოჰოლურ სასმელებზე (1,4 %), – აღნიშნულია საქსტატის ინფორმაციაში.

რაც შეეხება წლიურ ინფლაციას, ამ პუნქტის ფორმირებაზე ძირითადი გავლენა იქონია ფასების ცვლილებამ შემდეგ ჯგუფებზე.

– სურსათი და უალკოჰოლო სასმელები: ფასები გაიზარდა 7,5 პროცენტით, რაც 2,24 პროცენტული პუნქტით აისახა მთლიანი ინდექსის ზრდაში. ფასები გაიზარდა ქვეჯგუფებზე: ბოსტნეული და ბაღჩეული (25,8 %), ხორცი და ხორცის პროდუქტები (9,9 %), რძე, ყველი და კვერცხი (9,7 %), ხილი და ყურძენი (9,0 %), ზეთი და ცხიმი (7,4 %), ყავა, ჩაი და კაკაო (6,1 %);

ტრანსპორტი: ფასები მომატებულია 15,8 პროცენტით, რაც წლიურ ინფლაციაზე 2,02 პროცენტული პუნქტით აისახა. ფასები გაიზარდა პირადი სატრანსპორტო საშუალებების ექსპლუატაციაზე (18,9 %), სატრანსპორტო საშუალებების შეძენაზე (18,6 %) და სატრანსპორტო მომსახურებაზე (8,5 %);

ალკოჰოლური სასმელები, თამბაქო: ფასები გაიზარდა 19,4 პროცენტით, რაც 1,24 პროცენტული პუნქტით აისახა მთლიანი ინდექსის ზრდაში. ჯგუფში ფასების მატება დაფიქსირდა თამბაქოს ნაწარმზე (40,4 %);

ჯანმრთელობის დაცვა: ფასები გაიზარდა 6,4 პროცენტით, რაც 0,55 პროცენტული პუნქტით აისახა მთლიანი ინდექსის ზრდაში. ჯგუფში ფასების მატება დაფიქსირდა სამედიცინო პროდუქციის, აპარატურის და მოწყობილობების ქვეჯგუფზე (12,2 %) და ამბულატორიულ სამედიცინო მომსახურებაზე (6,3 %), – აღნიშნულია საქსტატის მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

რა პროდუქტები გაძვირდა ნოემბერში ყველაზე მეტად

ნოემბერში საქართველოში წლიური ინფლაციის დონემ 6,9% შეადგინა. სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ გამოქვეყნებული ინფორმაციის თანახმად, 2017 წლის ნოემბერში საქართველოში ინფლაციის დონემ წინა თვესთან შედარებით 1,1%, ხოლო წლიური ინფლაციის დონემ 6,9% შეადგინა.საქსტატის ცნობით, მოცემულ პერიოდში ინფლაციის მაჩვენებლის ფორმირებაზე ძირითადი გავლენა იქონია ფასების ცვლილებამ შემდეგ ჯგუფებზე:

ტრანსპორტი: ჯგუფში ფასები გაიზარდა 2,8 პროცენტით, რაც ინფლაციის მთლიან მაჩვენებელზე აისახა 0,39 პროცენტული პუნქტით. ფასები გაიზარდა სატრანსპორტო საშუალებების შეძენაზე (9,5 პროცენტი), სატრანსპორტო მომსახურებაზე (4,5 პროცენტი) და პირადი სატრანსპორტო საშუალებების ექსპლუატაციაზე (1,6 პროცენტი);

სურსათი და უალკოჰოლო სასმელები:

ჯგუფში ფასები გაიზარდა 0,8%-ით, რაც ინფლაციის მთლიან მაჩვენებელზე 0,26 პროცენტული პუნქტით აისახა. ფასები გაიზარდა ქვეჯგუფებზე: ბოსტნეული და ბაღჩეული (6,5 პროცენტი), შაქარი, ჯემი და სხვა ტკბილეული (1,4 პროცენტი), რძე, ყველი და კვერცხი (1,2 პროცენტი) და ზეთი და ცხიმი (0,7 პროცენტი). ამასთან, ფასები შემცირდა ხილსა და ყურძენზე (-9,2 პროცენტი);

ალკოჰოლური სასმელები, თამბაქო: ფასები 1,7%-ით გაიზარდა, რაც მთლიანი ინდექსის ზრდაში 0,12 პროცენტული პუნქტით აისახა. ჯგუფში ფასების მატება დაფიქსირდა როგორც თამბაქოს ნაწარმზე (1,9 პროცენტი), ისე ალკოჰოლურ სასმელებზე (1,4 პროცენტი).

საქსტატის ინფორმაციით, წლიური ინფლაციის ფორმირებაზე ძირითადი გავლენა იქონია ფასების ცვლილებამ შემდეგ ჯგუფებზე:

სურსათი და უალკოჰოლო სასმელები: ფასები 7,5%-ით გაიზარდა, რაც 2,24 პროცენტული პუნქტით აისახა მთლიანი ინდექსის ზრდაში. ფასები გაიზარდა ქვეჯგუფებზე: ბოსტნეული და ბაღჩეული (25,8 პროცენტი), ხორცი და ხორცის პროდუქტები (9,9 პროცენტი), რძე, ყველი და კვერცხი (9,7 პროცენტი), ხილი და ყურძენი (9,0 პროცენტი), ზეთი და ცხიმი (7,4 პროცენტი), ყავა, ჩაი და კაკაო (6,1 პროცენტი);

ტრანსპორტი: ფასები 15,8%-ით მომატებულია, რაც წლიურ ინფლაციაზე 2,02 პროცენტული პუნქტით აისახა. ფასები გაიზარდა პირადი სატრანსპორტო საშუალებების ექსპლუატაციაზე (18,9 პროცენტი), სატრანსპორტო საშუალებების შეძენაზე (18,6 პროცენტი) და სატრანსპორტო მომსახურებაზე (8,5 პროცენტი);

ალკოჰოლური სასმელები, თამბაქო: ფასები გაიზარდა 19,4 პროცენტით, რაც 1,24 პროცენტული პუნქტით აისახა მთლიანი ინდექსის ზრდაში. ჯგუფში ფასების მატება დაფიქსირდა თამბაქოს ნაწარმზე (40,4 პროცენტი);

ჯანმრთელობის დაცვა: ფასები გაიზარდა 6,4 პროცენტით, რაც 0,55 პროცენტული პუნქტით აისახა მთლიანი ინდექსის ზრდაში. ჯგუფში ფასების მატება დაფიქსირდა სამედიცინო პროდუქციის, აპარატურის და მოწყობილობების ქვეჯგუფზე (12,2 პროცენტი) და ამბულატორიულ სამედიცინო მომსახურებაზე (6,3 პროცენტი).

რომან გოცირიძე: „ეროვნული ბანკი უნდა იყოს ქვეყანაში სტაბილურობის და სიმშვიდის გარანტი“

– ჩვენ არ მოვთხოვთ ეროვნულ ბანკს, რომ პოლიტიკოსებივით აქტიურები იყვნენ და გინდა თუ არა, ჯოხს ურტყამდნენ მთავრობას თავში, მაგრამ სიტყვები მაინც უნდა ურტყან ხანდახან, – ამის შესახებ ფრაქცია ნაციონალური მოძრაობის თავმჯდომარემ, რომან გოცირიძემ, საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის სხდომის დაწყებამდე განაცხადა, რომელსაც ეროვნული ბანკის პრეზიდენტი კობა გვენეტაძე ესწრება.

გოცირიძის განცხადებით, მთავარი შეკითხვა შეეხება ლარის კურსს და ასევე ეროვნული ბანკის პოზიციას მთავრობასთან მიმართებაში, „ვინაიდან მთავრობა, თავისი საბიუჯეტო პოლიტიკით ძირს უთხრის მაკროეკონომიკურ სტაბილურობას მრავალი წლის განმავლობაში, რაზეც ეროვნული ბანკი არ რეაგირებს და გარკვეულწილად ხელს აფარებს მთავრობის არასწორ ეკონომიკურ პოლიტიკას“.

– მათ შორის, თუნდაც რაც მოხდა სულ ახლახან, როდესაც პარლამენტმა დაამტკიცა ცვლილებები 2017 წლის ბიუჯეტში 305 მილიონი ლარის ოდენობით და არავითარი კავშირი ამ ცვლილებებს არ აქვს 2017 წლის ბიუჯეტთან – ყველა ხარჯი გაწეული იქნება 2018 წელს. ქუთაისის აეროპორტის რეკონსტრუქცია 2018 წელს მოხდება და ეკონომიკის სამინისტროს 30 მილიონიან შენობას ასევე 2018-ში ააშენებენ, ანუ რეალურად ხდება მანიპულაცია და ეროვნული ბანკის დასკვნა ამაზე იყო დადებითი. რატომ არ არის ეროვნული ბანკი უფრო მკაცრი და პრინციპული, – განაცხადა გოცირიძემ.

მისივე თქმით, ზოგადად ეროვნული ბანკი უნდა იყოს ქვეყანაში სტაბილურობის და სიმშვიდის გარანტი.

– ჩვენ არ მოვთხოვთ მას, რომ პოლიტიკოსებივით აქტიურები იყვნენ და გინდა თუ არა, ჯოხს ურტყამდნენ მთავრობას თავში, მაგრამ სიტყვები მაინც უნდა ურტყან ხანდახან, – განაცხადა გოცირიძემ.

საქართველოს ბანკის ჯგუფი შავი ზღვის უნივერსიტეტს ყიდულობს?!

„კომერსანტის“ ინფორმაციით, საქართველოს ბანკის ჯგუფი შავი ზღვის უნივერსიტეტს (IBSU) ყიდულობს. ჩვენივე ინფორმაციით, მხარეებს შორის მოლაპარაკებები გაიმართა და გადაწყვეტილებაც უკვე მიღებულია.

„კომერსანტი“ შეეცადა დამატებითი დეტალების გარკვევას. როგორც შავი ზღვის უნივერსიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურში განუცხადეს, ამ ეტაპზე მსგავს ინფორმაციას არ ფლობენ:

– ფაქტს ვერც დაგიდასტურებთ, ვერც უარვყოფ. შესაძლოა, მსგავსი მოლაპარაკებები ორ მხარეს შორის არსებობს, თუმცა ამის შესახებ ინფორმაციას არ ვფლობ, – განუცხადეს „კომერსანტს“ შავი ზღვის უნივერსიტეტში.

რაც შეეხება საქართველოს ბანკს, როგორც საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტში „კომერსანტს“ განუცხადეს, „ბანკი შავი ზღვის უნივერსიტეტს არ ყიდულობს“.

შეგახსენებთ, რომ შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი (IBSU) თბილისში 1995 წელს გაიხსნა.

კობა გვენეტაძე: „ლარიზაცია არ ნიშნავს ლარის კურსის სტაბილურობას“

ლარიზაცია არ ნიშნავს ლარის კურსის სტაბილურობას, – ამის შესახებ ეროვნული ბანკის პრეზიდენტმა, კობა გვენეტაძემ საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის სხდომაზე განაცხადა.

– გალარების სოციალური პროგრამა მთავრობამ განახორციელა ეროვნული ბანკის ტექნიკური დახმარებით. სოციალური პროგრამის გამართლებულობაზე კამათი ყოველთვის შეიძლება, – განაცხადა კობა გვენეტაძემ.

სებ-ის პრეზიდენტს შეეწინააღმდეგა დეპუტატი ხათუნა გოგორიშვილი და მიმართა, რომ მთავრობის განცხადება იყო ზუსტად, რომ „ეს არ იყო სოციალური პროგრამა“.

– რაც შეეხება თავად ლარიზაციას. ეს არის გრძელვადიანი პროგრამა და არავითარ შემთხვევაში არ ნიშნავს ლარის კურსის სტაბილურობას. არ ვფიქრობ, რომ ასეთი რამ ოდესმე თქმულა. ლარიზაცია არ ნიშნავს ლარის სტაბილურობას, ეს არის ლარის გაცვლით კურსზე დამოკიდებულების შემცირება, რაც იმას ნიშნავს, რომ ეკონომიკაში უნდა გაიზარდოს წვდომა ლარის რესურსზე და რაც უფრო მეტი წვდომა იქნება ლარის რესურსზე, მით უფრო მეტი სესხი იქნება ლარში, – განმარტა სებ-ის პრეზიდენტმა და საერთაშორისო მაგალითები მოიყვანა.

კობა გვენეტაძის განცხადებით, ყველა ქვეყანაში აღნიშნულ პროგრამას სხვადასხვა დროს მოყვა შედეგი, გრძელვადიან პერსპექტივაში.

– უცხოურ ვალუტაზე დამოკიდებულების შემცირება ძალიან მალე ვერ მოხდება. მიუხედავად ამისა, ვფიქრობთ, რომ გარკვეული მოკრძალებული შედეგები არის ამასთან დაკავშირებით. მაგალითად, სესხების დოლარიზაცია საბანკო სექტორში 2016 წლის ბოლოს შემცირდა 65 %-იდან და 2017 წლის ოქტომბრის ბოლოს 57%-მდე, – განაცხადა კობა გვენეტაძემ.

ბაღდათის ყოფილმა გამგებელმა ირაკლი გეგეშიძემ თავი მოიკლა

ბაღდათის ყოფილი გამგებელი ირაკლი გეგეშიძე საკუთარ ბინაში გარდაცვლილი იპოვეს.

ინფორმაციას ბაღდათის გამგეობაში ადასტურებენ.

მათი განმარტებით, გეგეშიძემ 3 დეკემბერს თბილისში, საკუთარ საცხოვრებელ ბინაში მოიკლა თავი. თვითმკვლელობის მიზეზი მათთვის უცნობია.

ირაკლი გეგეშიძეს ბაღდათის გამგებლის თანამდებობა 2014 წელს ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების შემდეგ ეკავა. ის მანამდე საჯარო სტრუქტურაში არ მუშაობდა და მხოლოდ ბიზნესსაქმიანობით იყო დაკავებული.

გეგეშიძე 2016 წლის 25 აპრილს დიდი ოდენობით თანხის გაფლანგვის ფაქტზე დააკავეს. სუს-ის ანტიკორუფციული სააგენტო გამგებელს 227.654,80 ლარის საბიუჯეტო თანხების გაფლანგვაში ედავებოდა.

მოგვიანებით ის გირაოს სანაცვლოდ წინასწარი პატიმრობიდან გათავისუფლდა.

გორში მამაკაცი ჩამომხრჩვალი იპოვეს

გორში, ძმები რომელაშვილების ქუჩაზე, საკუთარი სახლის ეზოში 29 წლის მამაკაცი გარდაცვლილი ნახეს.

„ნიუპოსტის“ კორესპონდენტის ცნობით, მამაკაცი ჩამომხრჩვალი იყო. გარდაცვლილის ცხედარი ოჯახის წევრებმა იპოვეს.

როგორც „ნიუპოსტს“ შს სამინისტროში განუცხადეს, მომხდარზე გამოძიება 115-ე, თვითმკვლელობამდე მიყვანის მუხლით დაიწყო.

თელავში მსუბუქი ავტომობილი აფეთქდა

თელავში მსუბუქი ავტომობილი აფეთქდა. თვითმხილველების ინფორმაციით, „მერსედესის“ მარკის ავტომანქანას გაზის სისტემიდან ცეცხლი გაუჩნდა.

შემთხვევის დროს მანქანის მძღოლი მძიმედ დაშავდა.

თავდაპირველად დაშავებული თელავის რეფერალურ საავადმყოფოში, შემდეგ კი თბილისში, დამწვრობის ცენტრში გადაიყვანეს.

მომხდარზე გამოძიება 188-ე მუხლის მეორე ნაწილით დაიწყო, რაც გაუფრთხილებლობით ნივთის დაზიანება-განადგურებას გულისხმობს.

გურჯაანში 16 წლის მე-10 კლასელი გოგო გაზით გაიგუდა

გურჯაანის რაიონში ბუნებრივი აირის გაჟონვის შედეგად 16 წლის გოგო გაიგუდა.

ის სოფელ კარდენახში ბებიასთან იმყოფებოდა, როცა აბაზანაში, სავარაუდოდ, დამონტაჟებულმა გაზის გამათბობელმა გაჟონა.

მე-10 კლასელი გოგო, რომელიც ადგილზე გარდაიცვალა, საკუთარ საცხოვრებელ სახლში, სოფელ კოლაგში უკვე გადაასვენეს.

შემთხვევის ადგილზე ექსპერტ-კრიმინალისტები მუშაობდნენ.

გიორგი კვანჭიანი – „მაღაზიიდან რომ გამოვედი, ორმა უცნობმა მცემა და მაგინა“ თავისუფალი ზონის აქტივისტი თავდასხმის დეტალებს იხსენებს

3 დეკემბერს ღამით „თავისუფალი ზონის“ აქტივისტს თავს დაესხნენ, რის შედეგადაც გიორგი კვანჭიანის საავადმყოფოში გადაყვანა გახდა საჭირო.

ექიმის განმარტებით, მას ტვინის შერყევა და შესაძლოა, შიდა ქალას ტრავმა აქვს.

ჟურნალისტ ელისო კილაძის ინფორმაციით, თავდასხმამდე გიორგი კვანჭიანმა გაზეთ „ქრონიკა პლუსის“ რედაქციას მიაწოდა ინფორმაცია აშშ-ში გაქცეული ყოფილი პოლიციელების შესახებ, რომლებიც უწყებაში გამეფებულ უკანონობაზე საუბრობენ.

– მოვდიოდი ტაქსით და უცბად, ტაქსიდან რომ ჩამოვედი, წავედი მაღაზიაში – წყალი უნდა მეყიდა. გამოვედი თუ არა, უცნობმა ორმა პიროვნებამ მოულოდნელად მომაყენა ფიზიკური შეურაცხყოფა. მუქარა არ ყოფილა, მაგრამ გინება იყო, – განაცხადა „თავისუფალი ზონის“ აქტივისტმა გიორგი კვანჭიანმა.

ელისო კილაძის განმარტებით, პატრულის გადამდგარ თანამშრომლებთან სკანდალური ინტერვიუ შსს-ს შესახებ სკაიპით ჩაწერეს და ის სამშაბათის ნომრისთვის მზადდება.

– მან დაგვაკავშირა ამერიკის შეერთებულ შტატებში გაქცეულ ყოფილ პოლიციელს, რომელიც მისი ნათესავია. პოლიციელმა მოგვცა ძალიან სკანდალური ინტერვიუ, რომელიც ეხება შს სამინისტროში გიორგი მღებრიშვილის დროს მიმდინარე მოვლენებს. დაასახელა სკანდალური ფაქტები, სახელები, გვარები და ა.შ. დაახლოებით 40 წუთში ის დაგვიკავშირდა ფეისბუქის მეშვეობით და გვითხრა, რომ არის ნაცემი, – აცხადებს ელისო კილაძე.

გამოძიება 126-ე, ცემის მუხლით დაიწყო.

ყაჩაღობის ბრალდებით ერთი პირი დააკავეს

შინაგან საქმეთა სამინისტროს შიდა ქართლის პოლიციის დეპარტამენტის გორის რაიონული სამართველოს თანამშრომლებმა, ოპერატიულ-საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, 1995 წელს დაბადებული ნ.გ. ჯგუფურად ჩადენილი ყაჩაღობის ბრალდებით დააკავეს.

შს სამინისტროს ინფორმაციით, გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულმა, თანამზრახველთან ერთად, ქალაქ გორში სლოტ-კლუბი დააყაჩაღა, 1.650 ლარი გაიტაცა და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა.

სამართალდამცველებმა, ნ.გ.-ს პირადი ჩხრეკისას, გატაცებული თანხის ნაწილი, დანა, სამედიცინო ხელთათმანები და პირბადე ნივთმტკიცებად ამოიღეს. ასევე, ამოღებულია დანაშაულის ჩადენის იარაღი – შავი ფერის 2 სანთებელა-პისტოლეტი.

თანამზრახველის დადგენა-დაკავების მიზნით მიმდინარეობს ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებები.

გამოძიება ჯგუფურად ჩადენილი ყაჩაღობის ფაქტზე მიმდინარეობს (საქართველოს სსკ-ს 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით)“, – ნათქვამია ინფორმაციაში.

თსუ-ს ყალბი დიპლომი 2.600 დოლარად გაიყიდა

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის თანამშრომლებმა ყალბი დოკუმენტის დამზადება-გასაღების ფაქტზე, ბრალდებულის სახით, ერთ-ერთი ორგანიზაციის ხელმძღვანელი დააკავეს.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ საგამოძიებო სამსახურიდან აცნობეს, გამოძიებით დადგინდა, რომ დაკავებულმა პირმა, მატერიალური სარგებლის მიღების მიზნით, დაამზადა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის ბაკალავრის ხარისხის დამადასტურებელი ყალბი დიპლომი, რომელიც შემდგომში ერთ-ერთ მოქალაქეზე 2.600 აშშ დოლარად გაასაღა.

„საქმეზე მიმდინარეობს გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 362-ე მუხლის მეორე ნაწილით, რაც სასჯელის სახით ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას 3-დან 6 წლამდე ვადით“, – აცხადებენ უწყებაში.

სუს-მა ქრთამის აღების ფაქტზე ზუგდიდის მერიის თანამშრომელი დააკავა

საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ანტიკორუფციული სააგენტოს თანამშრომლებმა, განსაკუთრებით დიდი ოდენობით ქრთამის აღების ფაქტზე ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობისა და არქიტექტურის სამსახურის უფროსი სპეციალისტი რამაზ ბ. დააკავეს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ ბრალდებულმა უცხო ქვეყნის მოქალაქეს ზუგდიდში რესტორნის მშენებლობის ნებართვის გაცემის და სამშენებლო პროექტის დამტკიცების სანაცვლოდ ქრთამის სახით მოსთხოვა 20.000 აშშ დოლარი.

„30 ნოემბერს აღნიშნულმა პირმა წინასწარ აიღო ქრთამის სახით მოთხოვნილი თანხის ნაწილი 10.000 აშშ დოლარი, რა დროსაც ანტიკორუფციული სააგენტოს თანამშრომლებმა ბრალდებულის სახით დააკავეს.

გამოძიება განსაკუთრებით დიდი ოდენობით ქრთამის აღების ფაქტზე მიმდინარეობს, საქართველოს სსკ-ის 338-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტით, რაც სასჯელის სახედ ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას ვადით 11 დან 15 წლამდე“, – აცხადებენ სუს-ში.

ნანუაშვილი: „ისანში ჩატარებულ სპეცოპერაციასთან დაკავშირებით გამოძიებას ვერ შევაჯამებ“

– ამ ეტაპზე ჯერჯერობით არ გვაქვს რაიმე ისეთი დოკუმენტი, ან ინფორმაცია, რის საფუძველზეც შევაჯამებდი სპეცოპერაციის საქმესთან დაკავშირებით წარმოებულ გამოძიებას.

ამის შესახებ სახალხო დამცველმა უჩა ნანუაშვილმა ისანში, ბერი გაბრიელ სალოსის გამზირზე ჩატარებული სპეცოპერაციის საქმესთან დაკავშირებით ჟურნალისტების კითხვის საპასუხოდ განაცხადა.

ამასთან, როგორც სახალხო დამცველმა აღნიშნა, ომბუდსმენის აპარატის წარმომადგენლებსა და ტერორიზმის ბრალდებით დაკავებულ პირს შორის შეხვედრა მეორეჯერ აღარ მომხდარა.

– ტერორიზმში ბრალდებული პირი მეორედ ჯერჯერობით არ მოგვინახულებია. ერთხელ მოვინახულეთ და ამ ეტაპზე ჯერჯერობით არ გვაქვს რაიმე ისეთი დოკუმენტი, ან ინფორმაცია, რის საფუძველზეც უკვე შევაჯამებდით ამ სპეცოპერაციის საქმესთან დაკავშირებით წარმოებულ გამოძიებას. ცოტა მოგვიანებით გახდება ჩვენთვის ბევრი რამ ცნობილი, – განაცხადა უჩა ნანუაშვილმა.

ქუთაისში ნაფიცმა მსაჯულებმა მკვლელობაში ბრალდებული გაამტყუნეს

ქუთაისის საქალაქო სასამართლოში ნაფიცმა მსაჯულებმა 45 წლის მამაკაცის მკვლელობისთვის ბრალდებულს გამამტყუნებელი ვერდიქტი გამოუტანეს.

მკვლელობა ცეცხლსასროლი იარაღით 2016 წლის 5 ნოემბერს ირაკლი აბაშიძის ქუჩაზე მოხდა, რომლის შედეგად სავალუტო ჯიხურის თანამშრომელი ადგილზე გარდაიცვალა.

მომხდარი ფაქტიდან რამდენიმე დღეში შინაგან საქმეთა სამინისტრომ 24 წლის მამაკაცი დაიკავა. მის წინააღმდეგ საქმე სისხლის სამართლის კოდექსის 236 მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილით, ასევე, 179-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ პუნქტით და 109-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ პუნქტით აღიძრა.

ბრალდებულმა ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობით საქმის განხილვა თავად მოითხოვა.

პროცესი ქუთაისის საქალაქო სასამართლოში მიმდინარე წლის აგვისტოდან მიმდინარეობდა.

საბაჟო გამშვებ პუნქტში „წითელი ხიდი“ არადეკლარირებული ოქროს ნაკეთობები აღმოაჩინეს

ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის მებაჟე ოფიცრებმა, საბაჟო გამშვებ პუნქტში „წითელი ხიდი“ ეჭვის საფუძველზე აზერბაიჯანის მოქალაქის გ.მ-ს კუთვნილი ხელბარგის დათვალიერებისას, არადეკლარირებული ოქროს ნაკეთობები – საერთო წონა 43,36 გრამი – აღმოაჩინეს.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ შემოსავლების სამსახურიდან აცნობეს, აღნიშნული საქონლის საბაჟო ღირებულებამ 5,756.97 ლარი შეადგინა.

მათივე ცნობით, საქართველოს საგადასახადო კოდექსის 289-ე მუხლის მე-10 ნაწილის შესაბამისად, კანონდამრღვევ მოქალაქეს, სანქციის სახით, ფულადი ჯარიმა 5,756.97 ლარის ოდენობით შეეფარდა.

ხულოში ხარაბაძეების 2 სახლი და სკოლის ალტერნატიული ფართი მთლიანად დაიწვა

ხულოში, სოფელ ტუნაძეებში, ხანძრის შედეგად ხარაბაძეების კუთვნილი ორი საცხოვრებელი სახლი და საჯარო სკოლის ალტერნატიული ფართი მთლიანად დაიწვა.

დაზარალებული ოჯახები უსაფრთხო ადგილზე არიან გადაყვანილი.

– ოთხი და ექვსსულიანი ოჯახებია. დაშავებულები არ არიან. პირუტყვებიც გადავარჩინეთ. საცხოვრებელი სახლებიდან ივენტარი მოსახლეობასთან ერთად გამოვიტანეთ. დაზარალებულ ოჯახებს ხვალ ალტერნატიულ ფართს შევთავაზებთ. სკოლის საკითხზე აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსთან ერთად ვიმსჯელებთ. სასწავლო პროცესი შესაძლებელია ორი დღით შეჩერდეს. სკოლის ინვენტარი ნაწილობრივ გადავარჩინეთ, ხოლო სამივე შენობა მთლიანად დაიწვა, რადგან ხის მასალით იყო აშენებული. ხანძრის მიზეზებს გამოძიება დაადგენს. ხანძრის ლიკვიდაციაში მუნიციპალიტეტის სამი სახანძრო-სამაშველო ბრიგადა მუშაობდა, – აღნიშნა ხულოს მერმა გოჩა მელაძემ.

რა შეიძლება შესთავაზოს რუსეთმა თურქეთს აფხაზეთის აღიარების სანაცვლოდ

დასავლელი ექსპერტები სამხრეთ კავკასიასა და უკრაინა-ბელორუსში ვაშინგტონისა და ევროკავშირის პასიურობას აღნიშნავენ

მარიამ მჭედლიშვილი

თეთრი სახლის ახლანდელ ადმინისტრაციას არაერთხელ გამოუხატავს თავისი მხარდაჭერა საქართველოსა და მისი ტერიტორიული მთლიანობის მიმართ. ბოლო დროს ვაშინგტონი სხვების მიმართაც უფრო ქმედითი გახდა – მისი ხელშეწყობით სომხეთში შეიქმნა სამხედრო სასწავლო ცენტრი.

მიუხედავად ამისა, ექსპერტები აღნიშნავენ, რომ აშშ-ის პრეზიდენტს კავკასია არ აინტერესებს. მას არ სურს ამ რეგიონში გეოპოლიტიკური ნაბიჯების გადადგმა.

კანადელი ანალიტიკოსი პიოტრ დუტკევიჩი აცხადებს, რომ დონალდ ტრამპს არ გააჩნია არანაირი სტრატეგია ამ რეგიონში. ობამას, ტრამპისგან განსხვავებით, ჰქონდა მკაფიო სტრატეგია საგარეო პოლიტიკაში. აშშ-ის პრეზიდენტი არ ერთვება გეოპოლიტიკურ თამაშში, რაც მოთმინებასა და მკაფიო ანალიზს მოითხოვს. აქედან გამომდინარე, ექსპერტი გამორიცხავს აშშ-ის აქტიურობას სამხრეთ კავკასიაში. იგი პროგნოზირებს აქ რუსეთის გააქტიურებას. კრემლის წარმატება დამოკიდებული იქნება იმაზე, მოახერხებს თუ არა ის ადგილობრივ ელიტებთან მორიგებას.

ამ რეგიონის მოთამაშეებად ექსპერტი ასახელებს რეგიონულ სახელმწიფოებს – რუსეთს, თურქეთსა და ირანს, ასევე აშშ-სა და ევროკავშირს.

თურქეთი საბჭოთა კავშირის დაშლის დროიდან მოქმედებს ამიერკავკასიაში. მას პროდასავლური, ნატოს წევრი სახელმწიფოს იმიჯი ჰქონდა. დასავლეთი ძალიან შეაშფოთა ანკარის მხრიდან პანთურქული პროექტის განხორციელების მცდელობამ.

მოგვიანებით კავკასიურ თამაშში ჩაერთო ირანი. თეირანმა გაიხსენა, რომ ის ტერიტორიები, რომლებზეც სამხრეთ კავკასიის ქვეყნები ჩამოყალიბდა, ოდესღაც სპარსეთის იმპერიაში შედიოდა. თეთრმა სახლმა და ევროკავშირმა არ გამორიცხეს, რომ არსებობს რეგიონში თურქეთსა და ირანს შორის ომის დაწყების შესაძლებლობა. ამგვარ ომს მოჰყვებოდა ამიერკავკასიის სახელმწიფოების სრული დაშლა.

კანადელი ანალიტიკოსის აზრით, ვაშინგტონისთვის სამხრეთ კავკასია პერიფერიული ცენტრია. აშშ აქ თავის სამხედრო-პოლიტიკურ ყოფნას პირობითად დააფიქსირებს. ევროკავშირი ამ რეგიონში მხოლოდ დემოკრატიას აშენებს, იმ დროს, როცა რუსეთი, თურქეთი და ირანი აქტიურობენ და მომავალში უფრო გააქტიურდებიან.

ექსპერტები არ გამორიცხავენ, რომ რუსეთსა და თურქეთს შორის გარიგება მოხდება – მოსკოვი ანკარას მხარს დაუჭერს ქურთებისა და ჩრდილოეთ კვიპროსის საკითხებში, ხოლო ამის სანაცვლოდ თურქეთი აღიარებს აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთს და შეიცვლის პოზიციას მთიანი ყარაბაღის პრობლემის მიმართ.

მათი შეფასებით, რუსეთი, თურქეთი და ირანი, რომლებიც მჭიდროდ თანამშრომლობენ სირიის საკითხში, კოორდინაციას გააგრძელებენ კავკასიის მიმართულებითაც. მით უმეტეს, იმ პირობებში, როცა არც თურქეთს და არც სამხრეთ კავკასიის ქვეყნებს ახლო მომავალში არ ელით ევროკავშირში გაწევრიანება.

ევროკავშირის მოქმედებების არასაკმარის დინამიკურობასა და ამ ორგანიზაციის პასიურობაზე პოლონელი ანალიტიკოსებიც საუბრობენ.

მათი დაკვირვებით, ევროკავშირი არ არის აქტიური უკრაინასა და ბელორუსში. ამ რეგიონში უფრო მეტად იკვეთება რუსეთის ინტერესი. მათი პროგნოზით, აქ ღია კონფლიქტები შემცირდება, თუმცა რუსეთი გააძლიერებს კონტროლს და ისევ მოაწყობს პროვოკაციებს.

ტრამპი: „კომისთვის არ მითხოვია, რომ ფლინის საქმის გამოძიება შეეწყვიტა!“

აშშ-ის პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა განაცხადა, რომ მაიკ ფლინმა რუსებთან კონტაქტები მისი დავალებით დაამყარა.

– ამაში კანონსაწინააღმდეგო არაფერია! ისეთ დიდ ქვეყანასთან, როგორიც რუსეთია, როგორც ოფიციალური, ასევე არაოფიციალური კავშირის არხები უნდა გვქონდეს! – თქვა ტრამპმა.

ამავე დროს, პრეზიდენტმა აღნიშნა, რომ ფლინის რუსებთან საიდუმლო მოლაპარაკების შესახებ არაფერი იცოდა.

– მან ეს როგორც გამოძიების ფედერალურ ბიუროს, ასევე მეც დამიმალა, – ამტკიცებს პრეზიდენტი.

ტრამპი ირწმუნება, რომ გფბს ექსდირექტორ კომისთვის არასოდეს უთხოვია, რომ ფლინის საქმის გამოძიება შეეწყვიტა.

– პირიქით, მე ყველაზე მეტად ვიყავი დაინტერესებული, რომ სრულფასოვანი და ობიექტური გამოძიება ჩატარებულიყო. კომის ეს პირდაპირ განვუცხადე, – ამბობს ტრამპი.

ამასობაში სპეცპროკურორი მიულერი, რომელიც აშშ-ის არჩევნებში რუსების ჩარევის ფაქტს იძიებს, ახალი ბრალდების წამოსაყენებლად ემზადება. მას შემდეგ, რაც მაიკ ფლინმა აღიარა, რომ ფედერალურ ბიუროს ცრუ ჩვენება მისცა, არსებობს ყველა საფუძველი, რომ მას წაუყენონ ბრალდება მართლმსაჯულებისთვის ხელის შეშლის თაობაზე.

ამჟამად მიულერი ბრალდების დამამტკიცებელ ფაქტებს აგროვებს.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

გენერალი მაკმასტერი: „აშშ-სა და ჩრდილოეთ კორეას შორის ომის ალბათობა იზრდება!“

„ჩინეთს ფხენიანის ბლოკირება შეუძლია“



ჩრდილოეთ კორეის მიერ ახალი ბალისტიკური რაკეტის გამოცდამ მსოფლიოში დაძაბულობის ხარისხი კიდევ უფრო გაზარდა. ოფიციალური ფხენიანი აცხადებს, რომ უკვე ძალუძს რაკეტით აშშ-ის ნებისმიერ წერტილს მისწვდეს. შეშფოთებას ვერც აშშ-ის მოკავშირენი და ჩრდილოეთ კორეის მეზობლები (იაპონია, სამხრეთ კორეა) მალავენ. ოფიციალური ფხენიანი კუნთებს აშკარად ათამაშებს. ეს კი, შესაძლოა, ომში გადაიზარდოს. ამ შემთხვევაში როგორც იაპონია, ასევე სამხრეთ კორეა ყველაზე მეტად დაზარალდებიან.

– აშშ-ჩრდილოეთ კორეას შორის ომის ალბათობა დღითიდღე იზრდება! – განაცხადა პრეზიდენტ ტრამპის მრჩეველმა ეროვნული უსაფრთხოების საკითხებში, გენერალმა მაკმასტერმა.

გენერალმა ხაზი გაუსვა, რომ არსებულ ვითარებაში ჩინეთის როლი ძალზე გაიზარდა. პეკინს ჩრდილოეთ კორეის სრული ბლოკირება შეუძლია. ამას კი უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება.

– ჩვეულებრივი სანქციებით ჩრდილოეთ კორეას ვერაფერს დავაკლებთ, რადგან ესაა ჩაკეტილი ქვეყანა, რომელიც მსოფლიო ეკონომიკას მოწყვეტილია. აუცილებელია ამ ქვეყნის სრული პარალიზება, ეს კი ჩინეთის აქტიური დახმარების გარეშე შეუძლებელია! – აცხადებს მაკმასტერი.

გენერალმა აღნიშნა, რომ ჩრდილოეთ კორეა ღატაკი ქვეყანაა. იქ ტოტალური ტერორი და ბელადის კულტია გამეფებული. შესაბამისად, მატერიალური მდგომარეობის გაუარესება დასავლეთს ვერაფერს მისცემს. იმედი იმისა, რომ მოსახლეობის შემდგომი გაღატაკება საპროტესტო გამოსვლებში გადაიზრდება, ნულის ტოლია. ასეთ სიტუაციაში მარტოოდენ დიპლომატიური მეთოდებით რაიმე შედეგის მიღწევა შეუძლებელია. რჩება ერთადერთი გზა: ძალა.

– ომამდე ბევრი აღარ დარჩა, მაგრამ თუ ჩინეთის დახმარებით ჩრდილოეთ კორეის პარალიზება მოხერხდა, შესაძლოა, შედეგს მივაღწიოთ. ჯერჯერობით ეს ომის თავიდან აცილების ერთადერთი საშუალებაა, – განაცხადა მაკმასტერმა.

ვილნიუსში „თავისუფალი რუსეთის“ ფორუმი გაიხსნა

ვილნიუსში „თავისუფალი რუსეთის“ ფორუმი გაიხსნა. მის მუშაობაში მონაწილეობას იღებენ ცნობილი პოლიტიკოსები, მათ შორის ლიტველი ვიტაუტას ლანდსბერგისი, „თავისუფალი რუსეთის“ ერთ-ერთი დამაარსებელი ტიურინი, რუსული დემოკრატიული მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი კასპაროვი.

ტიურინმა შეკრებილთ სიტყვით მიმართა. მან განაცხადა, რომ მიმდინარე ფორუმი ოქტომბრის გადატრიალების მე-100 წლისთავს ეძღვნება.

– ოქტომბრის გადატრიალებამ არა მხოლოდ რუსეთს, არამედ მთელ კაცობრიობას უდიდესი ზიანი მიაყენა! ეს ისეთივე რეაქციული მოვლენაა, როგორც 1933 წელს გერმანიის ხელისუფლებაში ჰიტლერის მოსვლა, – თქვა ტიურინმა.

სახალხო მკურნალილამარა თოდუა მოგირჩენთ სახის კანის გამონაყარს უმტკივნეულოდ და ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე. მოგაშორებთ ლაქებსა და ნაოჭებს.

ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. პროსტატიტს, ბუასილს; 11. კუჭის წყლულს; 12. გულძმარვას („იჟოგას“); 13. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 14. გამაგრებულ ნანემსარს; 15. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 16. მოვხსნი მეჭეჭებს; 17. განვკურნავ ჭიებისგან; 18. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 19. სოკოვან დაავადებებს; 20. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.

მაქვს ძალიან ეფექტური, ბუნებრივი წამლები.

მსურს დაგეხმაროთ ჯანმრთელობის აღდგენაში.

მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.
ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82

განცხადებები

ჯანმრთელობა, მკურნალობა

● ონკოლოგიური პროცესების მართვა, ლიმფის გაწმენდით მეტასტაზების განადგურება, სიმსივნური უჯრედის ზრდის შეჩერება, ქიმიოთერაპიის ეფექტურობის გაზრდა, იმუნიტეტის ამაღლება, თმის ცვენის, გულის რევის შეჩერება, ენერგიისა და ჭამის მადის მომატება მცენარეული, აბსოლუტურად უვნებელი საშუალებებით. ტელ: 597-98-95-99.

● ფსორიაზის, ეგზემის, კანისა და ფრჩხილის სოკოს მკურნალობა გარანტირებული შედეგებით. ფსორიაზის მკურნალობა ლიმფის გაწმენდით (შინაგანად) და მალამოებით. მამაკაცური სექსუალური პრობლემების მოწესრიგება, ერექციის გახანგრძლივება და სხვა – მხოლოდ მცენარეული პრეპარატებით. ტელ: 597-98-95-99.

● ვმკურნალობ ბუასილს (ჰემოროი) – სისხლდენა, ნახეთქები, კვანძის გამოვარდნა. მხოლოდ მცენარეულ კომპონენტებზე დამზადებული შიგნით მისაღები დასალევი წამლით. აჩქარებს ოპერაციის შემდგომ ჭრილობების შეხორცებას. შედეგი 100%-იანია. 48 საათში ქრება სისხლდენა, ხოლო 72 საათში განთავისუფლდებით ტკივილებისაგან. ტელ: 568-90-78-09; 295-40-58 ჯემალი.

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა: კოლიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე ასაკობრივი და პარაზიტული, უსიამოვნო სუნი პირიდან და ორგანიზმიდან, გულ-სისხლძარღვთა სისტემის საერთო წმენდა-გაძლიერება-გაახალგაზრდავება. 100%-იანი შედეგებით. ტელ: 571-72-03-11; 247-58-83.

● სქესობრივი უძლურება (იმპოტენცია), პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!), შარდვის პრობლემების: ხშირი და უნებლიე, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი, უშვილობა, ენურეზი (გენეტიკური), ქრონიკული ინფექციები (ვენერიული) – მკურნალობა და გაწმენდა ვირუსებისგან უახლესი მეთოდებით. ტელ: 577-29-37-41; 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულ-სისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისგან, წნევების დარეგულირება, წონის დაკლება 5-დან 20კგ-მდე თვეში, მომატება 2-6კგ-მდე. შედეგები 100%-იანი. ტელ: 577-29-37-41; 247-58-83 ქ-ნი ქეთევანი.

● ალკოჰოლური და ნარკოტიკული ჩვევა-დამოკიდებულებისგან სწრაფად განთავისუფლება. ნერვული სისტემის მოწესრიგება: შიშების, უძილობის, აგრესიის, დეპრესიის, აკვიატებების, ეჭვიანობის, ასევე: ღვიძლისა და კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პათოლოგიის მკურნალობა: ციროზი, ჰეპატოზი, გასტრიტი, კოლიტი, დისბაქტერიოზი, აშლილობა, კრონი. ორგანიზმის გაწმენდა ყველანაირი ტოქსინისგან. ტელ: 599-72-21-38; 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● სიმაღლეში ზრდის სწრაფი და ეფექტური მეთოდი 3-6 სმ-ის მატებით. შედეგიანია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. მკურნალობა მცენარეული ძვლის მკვებავი მინერალებისა და ზვიგენის ხრტილის ვიტამინებისა და ამინომჟავების ნაკრებით + ვარჯიშებით, ხერხემლის პათოლოგიების გამოვლენისას სხვა განსაკუთრებული, ინდივიდუალური მეთოდებით. ასევე გახდომა თვეში 6-22კგ-მდე, მომატება 2-6კგ-მდე შიმშილის, ვარჯიშებისა და აკრძალვების გარეშე. პროგრამა-დანიშნულება ყველა პაციენტთან ინდივიდუალურია. ტელ: 599-72-21-48; 234-02-38 ქ-ნი მარიამი.

● ძვალ-სახსართა პრობლემების: კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატოიდული ართროზის, პოდაგრის, ოსტეომიელიტის, ანკილოზივური სპონდილიტას, პოლიართრიტის, ყველა სახის ხერხემლის გამრუდების მკურნალობა, დაზიანებული ხრტილებისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილის სინდრომის მოხსნა, მოძრაობის შეზღუდვის აღდგენა, მკურნალობა უშედეგოდ ნაოპერაციებ სახსრებზე. ტელ: 599-90-54-78; 247-58-83 ქ-ნი ქეთათო.

● სტომატოლოგიური მომსახურეობა ბინაზე გამოძახებით, კბილების პროთეზირება. ერთი ყბის ფასი 130 ლარი. კეთდება რუსული, იტალიური, იაპონური კბილები, გარანტიით. ტელ: 555-72-64-98.

●კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატიზმის, პოდაგრების, ართრიტების მკურნალობა, დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, ტკივილის სინდრომის მოხსნა, სითხის დაბალანსება სახსარში, მოძრაობის შეზღუდვის აღდგენა – შედეგები 100%-იანია. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 558-15-63-33; 218-46-08 ექიმი ნინო.

● ალკოჰოლური და ნარკოტიკული დამოკიდებულებისგან სწრაფი გათავისუფლება, ნერვული სისტემის მოწესრიგება (უძილობა, შიშები, აგრესია, დეპრესია), ღვიძლის დაავადებების მკურნალობა, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: გასტრიტი, კოლიტი, დისბაქტერიები, დიარეა, ორგანიზმის გაწმენდა ტოქსინებისგან 100%-იანი შედეგებით. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 599-25-44-14; 218-48-99 ექიმი ქ-ნი მზია.

● მკურნალობა მამაკაცებისათვის გარანტირებული შედეგებით – იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, წვა, ქავილი, ტკივილი, ქრონიკული ინფექციები (ვირუსები, ვენერიული) – მკურნალობა უკუჩვენების გარეშე. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 595-293-299; 218-14-90 ექიმი ქ-ნი ინგა.

● სიმაღლეში ზრდის სწრაფი მეთოდი თვეში 3-5 სმ, ძვლის მკვებავი მინერალები + ვარჯიშები, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროს, ასევე გახდომა თვეში 5-20 კგ ინდივიდუალური მეთოდი ყველა პაციენტთან – შედეგები 100%-იანი. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 599-96-44-94; 218-46-08 ექიმი ქ-ნი სალომე.

ჯაბა ბრეგვაძე პირველი ქართველი მორაგბეა იაპონიაში



ჯაბა ბრეგვაძე პირველი ქართველია, რომელიც ზე-რაგბში ითამაშებს. 30 წლის მორაგბემ იაპონურ სანვულვზთან კონტრაქტი უკვე გააფორმა და სუპერ რაგბის კლუბს 1 იანვრიდან შეუერთდება. ამ ტრანსფერში უდიდესი როლი მილთონ ჰეიგს მიუძღვის, რომელმაც ბრეგვაძე იაპონელებს დააკავშირა.

ჯაბა ბრეგვაძე:

– აგვისტოში მილტონ ჰეიგს მისი მეგობარი ჯეიმი ჯოზეფი დაუკავშირდა, რომელიც იაპონიის ნაკრებისა და სანვულვზის მთავარი მწვრთნელია და უთხრა, რომ პირველი და მეორე ხაზის მოთამაშეებს ეძებდა. მილთონმა ეს წინადადება შემომთავაზა და ჩემი აგენტის მეშვეობით მოლაპარაკება დაიწყო, რომელიც მალევე წარმატებით დასრულდა და იაპონელებთან კონტრაქტი გავაფორმე. მისი მოქმედების ვადა 1 იანვარს იწყება და სანვულვზში ერთ სეზონს გავატარებ, მერე კი ვნახოთ, რა როგორ იქნება.

ველოდები ვიზას და იანვრიდან ახალ გუნდს შევუერთდები. სუპერ რაგბში თამაშით ძალიან დიდ გამოცდილებას მივიღებ. იაპონიის ნაკრები ახლახან ფრედ ეთამაშა საფრანგეთს, შარშან ცოტა დააკლდა უელსთან და 2015 წლის მსოფლიო თასზე დაამარცხა სამხრეთ აფრიკა, ხოლო სანვულვზი იაპონიის ნაკრების საბაზო გუნდია. მომიწევს თამაში ახალ ზელანდიელი, სამხრეთ აფრიკელი, ავსტრალიელი და არგენტინელი ვარსკვლავების წინააღმდეგ. გარდა ამისა, ესაა უდიდესი პასუხისმგებლობა, რადგან ვიქნები პირველი ქართველი სუპერ რაგბში და უნდა დავამტკიცო, რომ თუ ვთამაშობთ ევროპის წამყვან ჩემპიონატებში, ამის გაკეთება სუპერ რაგბშიც შეგვიძლია.

ვფიქრობ, იქ ინგლისზე უფრო მაღალი სათამაშო ტემპია, მაგრამ თუ ფიზიკურად მზად ვიქნები, 2-3 თამაშის შემდეგ ამ ტემპს აღღოს ავუღებ და ყველაფერი კარგად იქნება.

ჯაბა ბრეგვაძეს 2012-14 წლებში საფრანგეთში, ტოპ 14-ის ტულუზში, ხოლო 2015-17 წლებში ინგლისის პრემიერშიფის ვუსტერში უთამაშია. წელს ის დიდ 10-ში თბილისის ლოკომოტივის, ხოლო ჩელენჯ ქაფზე კრასნოიარსკის კრასნი იარის ღირსებას იცავდა.

ჯაბამ ბორჯღალოსნების რიგებში 49 სანაკრებო კეპი მოიხვეჭა და ორ მსოფლიო თასზე (2011 2015) ითამაშა.

ბოლნისის სიონი უმაღლესში დაბრუნდა

დინამო (ბთ)-სიონი 3:2 (2:4პ)

ბათუმი. რაგბი არენა

1:0 გრიგალაშვილი (8), 1:1 კოშკაძე (36), 2:1 კვასოვი (62), 3:1 მარცვალაძე (83), 3:2 სიხარულია (90)

23-ე წუთზე ვაკო თევდორაძემ ვერ გამოიყენა პენალტი (მეკარე)

დინამო: ტიმოფეევი, ფარტენაძე, ვარშანიძე, ქავთარაძე (კვანტალიანი 82), შონია, თევდორაძე (მარცვალაძე 59), სუხიაშვილი, კვირკველია, ე.გრიგალაშვილი, მგელაძე, კვასოვი (მახარაძე 72)

სიონი: ზარქუა, თომაშვილი, გიორბელიძე, ნოზაძე, კოშკაძე, მანაგაძე (უგულავა 82), დვალი, ჯაფარიძე (ჭეიშვილი 67), ქიქავა, მიქაბერიძე (ჭანკოტაძე 76), სიხარულია

გაძევება: მაქაცარია (90)

ბათუმის „რაგბი არენაზე“ გამართულმა დაპირისპირებამ მოლოდინი სრულად გაამართლა და გულშემატკივარმა დრამატული მატჩი იხილა. მთელი თამაშის განმავლობაში პირველ ნომრად ბათუმელები თამაშობდნენ, ბოლნისელები კი სწრაფი კონტრიერიშებით აწუხებდნენ მეტოქის დაცვას, მაგრამ ბოლო წამზე დაშვებულმა უყურადღებობამ ზღვისპირელები დასაჯა.

მასპინძლებმა გოლის გატანა საწყის წუთებზევე შეძლეს, მე-8 წუთზე ქავთარაძე-კვასოვის კომბინაცია ელგუჯა გრიგალაშვილმა დააგვირგვინა. სწრაფმა გოლმა დინამოელებზე დადებითად იმოქმედა და მათი იერიშები კიდევ უფრო სახიფათო გახდა.

23-ე წუთზე დინამოს გადამწყვეტი უპირატესობის მოპოვების შესანიშნავი შანსი მიეცა, მაგრამ ვალერიან თევდორაძის შესრულებული პენალტი თორნიკე ზარქუამ მოიგერია.

მეკარის კარგმა თამაშმა ბოლნისელებს ფსიქოლოგიური უპირატესობა მოუპოვა და ტაიმის მიწურულს კობა ჟორჟიკაშვილის გუნდმა ანგარიში გაათანაბრა. 36-ე წუთზე ტექნიკურად შესრულებული საჯარიმო დარტყმით ალექსანდრე კოშკაძემ გაიტანა. ამ მომენტიდან რამდენიმე წუთში სიონს დაწინაურებაც შეეძლო, მაგრამ ლაშა მანაგაძის დარტყმა ხარიხამ მოიგერია.

მე-2 ტაიმში თამაშის სცენარი არ შეცვლილა – დინამო დიდი ძალებით უტევდა, სიონი კი თავს იცავდა და კონტრშეტევებზე საკუთარი შანსების გამოყენებას ცდილობდა. ბათუმელთა შეტევებმა შედეგი 62-ე წუთზე გამოიღო, ელგუჯა გრიგალაშვილი შეტევის მარცხენა ფლანგიდან საჯარიმოში შეიჭრა და პასით იაროსლავ კვასოვს გაატანინა – 2:1.

ეს ანგარიში ეროვნულ ლიგაში ადგილის შესანარჩუნებლად დინამოსთვის სრულიად საკმარისი იყო და ასლან ბალაძის გუნდმა უკან დაიხია. ტერიტორიულ უპირატესობას სტუმრები დაეუფლნენ და მეტოქეს აქტიურად შეუტიეს. 83-ე წუთზე დინამოელებმა შეტევაში გართული ბოლნისელების უყურადღებობით ისარგებლეს და ოთარ მარცვალაძემ საკუთარი გუნდის უპირატესობა კიდევ უფრო დამაჯერებელი გახადა – 3:1.

თამაშის ბედი პრაქტიკულად გადაწყვეტილი იყო, მაგრამ სტუმრებმა ბოლომდე იბრძოლეს. მსაჯის მიერ კონპენსირებულ დროში ზვიად სიხარულიამ მეტოქის საჯარიმოში წარმოქმნილი არეულობით ისარგებლა, სხვაობა ერთ ბურთამდე შეამცირა და თამაში დამატებით დროში გადაიყვანა.

ორ 15-წუთიან ტაიმში გუნდებმა გოლი ვეღარ გაიტანეს და გამარჯვებულის გამოსავლენად პენალტების სერია დაინიშნა, რომელიც უკეთ სიონმა შეასრულა, მეტოქე ანგარიშით 4:2 დაამარცხა და ეროვნული ლიგის საგზური მოიპოვა.

მერანი-კოლხეთი 2:2

მარტვილი. მურთაზ ხურცილავა

1:0 კურდღელაშვილი (16), 1:1, 1:2 ბუხაიძე (53, 90), 2:2 კურდღელაშვილი(90)

მერანი: კულუა, ორბელაძე, გეგია, ტეიდი, ბარაბაძე, კურდღელაშვილი, მაისაშვილი (ჯიქია 83), ტრეტიაკი, ლომაშვილი, მელიავა, ჩალაძე (რუხაძე 55)

კოლხეთი: სეფიაშვილი, გ.კილასონია, გურეშიძე, გოგონაია, კაკულია, ბროვკო, დერებჩინსკი, ჯანელიძე, ჟიშკარიანი, ბახია (ბუხაიძე 37), ბოლქვაძე (ვ.კილასონია 90)

შეხვედრა ორმხრივი შეტევებით წარიმართა და გულშემატკივარმა საინტერესო სანახაობა იხილა. ანგარიში მე-16 წუთზე გაიხსნა, ვანო კურდღელაშვილმა საჯარიმოს მისადგომებთან მიიღო ბურთი და ერთი შეხებით მეკარისგან მარჯვენა კუთხეში გადაგზავნა.

ეს ანგარში მასპინძლებს ხელს აძლევდა და თითქოს კოლხეთი უნდა გააქტიურებულიყო, მაგრამ თამაში მასპინძელთა შეტევებით გაგრძელდა, მარტვილელებმა პირველი ტაიმის დასრულებამდე მეტოქის კართან რამდენიმე სახიფათო მომენტი შექმნეს, თუმცა გადამწყვეტ მომენტში ფეხბურთელები არაზუსტად მოქმედებდნენ. განსაკუთრებით კარგი მომენტი ჰქონდა ბენჯამინ ტეიდს – მერანის ნიგერიელი ლეგიონერი მეკარესთან პირისპირ დარჩა, მაგრამ კარს ააცილა.

ტაიმის მიწურულს ტრავმის გამო სანდრო ბახიამ ნაადრევად დატოვა მოედანი, მის მაგივრად კი, თამაშში გიორგი ბუხაიძე ჩაერთო. აღნიშნულმა მომენტმა მატჩის შედეგზე პირდაპირი გავლენა მოახდინა. ახალგაზრდა შემტევი მოედანზე აქტიურად შემოვიდა და მეორე ნახევრის საწყის წუთებზევე მოახერხა ანგარიშის გათანაბრება – 53-ე წუთზე ბუხაიძემ თავური დარტყმით გაიტანა.

გაშვებული გოლის შემდეგ მარტვილელებმა კიდევ უფრო დიდი ძალებით შეუტიეს. კოლხეთი კი, კონტრშეტევებით ცდილობდა საგოლე მომენტების შექმნას. მერანს რამდენიმე კარგი შანსი ჰქონდა, მაგრამ მათ შორის ყველაზე რეალური სერგეი ტრეტიაკის მომენტი იყო. ირაკლი რუხაძის ჩაწოდების შემდეგ უკრაინელი ლეგიონერი თავით ურტყამდა, მაგრამ ბურთი ხარიხამ მოიგერია.

მასპინძელთა აქტიურობამ შედეგი არ გამოიღო და 90-ე წუთზე კვლავ კოლხებმა გაიტანეს. საკუთარი გუნდის კონტრიერიში გოლად გიორგი ბუხაიძემ აქცია და დუბლი გაიფორმა. მარტვილელებმა დარჩენილ დროში გაიბრძოლეს და მსაჯის მიერ კონპენსირებულ დროში ვანო კურდღელაშვილმა შორეული დარტყმით საბოლოო ანგარიში დააფიქსირა – 2:2.

კოლხეთმა 2 მატჩის ჯამში ანგარიშით 4:3 დაამარცხა და ეროვნულ ლიგაში ადგილი შეინარჩუნა.

გურია-თელავი 1:1

ლანჩხუთი. ევგრაფი შევარდნაძე

0:1 ნიკაბაძე (45), 1:1 შენგელია (82)

88-ე წუთზე მეგრელიშვილმა ვერ გაიტანა პენალტი (მეკარე)

მთელი მატჩის განმავლობაში ტერიოტრიულ უპირატესობას მასპინძლები ფლობდნენ, თელაველები კი, ძირითადად კონტრშეტევებზე მოქმედებდნენ. ანგარიში პირველი ტაიმის მიწურულს გაიხსნა. 45-ე წუთზე მიხეილ ბაშელეიშვილის წამოწყებული სწრაფი კონტრიერიში შედეგიანი დარტყმით გიორგი ნიკაბაძემ დაასრულა.

მე-2 ნახევარში გურულები მოედანზე კაცნაკლული დარჩნენ, 67-ე წუთზე არბიტრმა მოედნიდან მაგლოირტელა გააძევა. ამის მიუხედავად ლანჩხუთელებმა ბოლომდე იბრძოლეს და მატჩის გადარჩენაც შეეძლოთ. 82-ე წუთზე ალექსანდრე შენგელიამ საჯარიმო დარტყმით წონასწორობა აღადგინა. 88-ეზე კი, ბექა ბაკურაძემ საკუთარ გუნდს პენალტის დარტყმის უფლება მოუპოვა და სტანდარტის ზუსტად შესრულების შემთხვევაში გურია თამაშს დამატებით დროში გადაიყვანდა. დათო მეგრელიშვილის შესრულებული 11-მეტრიანი თელავის მეკარემ, ლუკა სანიკიძემ მოიგერია. დარჩენილ დროში კახელებმა ანგარიშის შენარჩუნება მოახერხეს და ეროვნულ ლიგა 2-ში თამაშის უფლება მოიპოვეს.

ნორჩი დინამო-მეშახტე 4:0

გაგრძელება მე-10 გვერდზე

მწვრთნელთა შეცდომა დავითაძეს მედლის დაკარგვად დაუჯდა

ანაჰაიმში მიმდინარე ძალოსანთა მსოფლიო ჩემპიონატზე 19 წლის რევაზ დავითაძემ (85 კგ.) მე-5 ადგილი დაიკავა, მაგრამ ისიც უნდა ვთქვათ, რომ უკეთესი შედეგის ჩვენებაც შეეძლო, რომ არა გაურკვეველი სიტუაცია.

ქართველმა სპორტსმენმა ატაცში 160-კილოგრამიანი შტანგა მხოლოდ მე-3 ცდაზე დაძლია, რაც იმის ბრალია, რომ სამწვრთნელო შტაბი სიტუაციაში დროულად ვერ გაერკვა და რევაზს მე-2 ცდა გაფუჭებულად ისე ჩაუთვალეს, ის ფიცარნაგზე საერთოდ არ გასულა.

არადა, დავითაძე ამ მოძრაობაში თავის საუკეთესო შედეგს ერთბაშად 8 კგ-ით ჩამორჩა, სწორად დაგეგმვის შემთხვევაში, იქნებ, მედალსაც შეწვდენოდა.

მართალია, დავითაძემ მისთვის საუკეთესო შედეგი აჩვენა აკვრაში, მაგრამ ეს მედლისთვის უკვე საკმარისი არ აღმოჩნდა. ქართველმა ძალოსანმა ჯერ 182 კილოგრამიანი შტანგა დაიმორჩილა, შემდეგ 190 კილო ვერ ასწია, მაგრამ მესამე ცდაზე კილოგრამი მოუმატა და 191 კილო დააფიქსირა.

ჯამში დავითაძემ 351 კგ. მოაგროვა და მხოლოდ 1 კგ-ით ჩამორჩა მე-4 ადგილზე გასულ სამხრეთკორეელ დონგჯუ იუს.

მსოფლიოს ჩემპიონის ტიტული ჩილელმა არლი მენდეზ პერეზმა (378 კგ.) მოიპოვა, ვერცხლი პოლონელ კშიშტოფ მაჩიეი ზვარიჩს (359 კგ.) ერგო, ბრინჯაო კი – იტალიელ ანტონიო პიცოლატოს (358 კგ.).

ანაჰაიმში მიმდინარე ტურნირზე საქმეში კიდევ ორ ქართველ ძალოსანს ვიხილავთ და ორივე მათგანისგან მაქსიმალური შედეგია მოსალოდნელი. ჯერ ფიცარნაგზე ანასტასია ჰოტფრიდს ვიხილავთ, რომელიც ქალთა 90 კილოგრამ კატეგორიაში იასპარეზებს, ხოლო დასკვნით დღეს – ოლიმპიური, მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონი, მძიმეწონოსანი ლაშა ტალახაძე გამოვა.

შედეგები

3 დეკემბერი

ფეხბურთი

ინგლისი. პრემიერლიგა

ბორნმუთი-საუთჰემპტონი 1:1
სიტი-ვესტ ჰემი 2:1

სატურნირო ცხრილი:

1.სიტი	15	14	1	0	46-10	43
2.მანჩესტერი	15	11	2	2	35-9	35
3.ჩელსი	15	10	2	3	28-12	32
4.ლივერპული	15	8	5	2	33-19	29
5.არსენალი	15	9	1	5	29-19	28
6.ტოტენჰემი	15	7	4	4	23-13	25
7.ბარნლი	15	7	4	4	14-12	25
8.უოტფორდი	15	6	4	5	25-26	22
9.ლესტერი	15	5	5	5	20-20	20
10.ევერტონი	15	5	3	7	19-28	18
11.საუთჰემპტონი	15	4	5	6	15-18	17
12.ბრაიტონი	15	4	5	6	14-19	17
13.სტოკი	15	4	4	7	18-30	16
14.ბორნმუთი	15	4	3	8	13-17	15
15.ნიუკასლი	15	4	3	8	14-22	15
16.ჰადერსფილდი	15	4	3	8	9-26	15
17.ვესტ ბრომვიჩი	15	2	7	6	12-21	13
18.კრ.პალასი	15	2	4	9	8-25	10
19.ვესტ ჰემი	15	2	4	9	13-32	10
20.სუონსი	15	2	3	10	8-18	9

ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი

ლეგანესი-ვილიარეალი 3:1
ხეტაფე-ვალენსია 1:0
ეიბარი-ესპანიოლი 3:1
ლას პალმასი-ბეტისი 1:0

სატურნირო ცხრილი:

1.ბარსელონა	14	11	3	0	36-7	36
2.ვალენსია	14	9	4	1	33-13	31
3.ატლეტიკო	14	8	6	0	23-7	30
4.რეალი	14	8	4	2	25-11	28
5.სევილია	14	9	1	4	19-14	28
6.ვილიარეალი	14	6	3	5	22-18	21
7.ლეგანესი	14	6	2	6	12-13	20
8.ხეტაფე	14	5	4	5	20-15	19
9.სოსიედადი	14	5	4	5	28-26	19
10.სელტა	14	5	3	6	26-21	18
11.ბეტისი	14	5	3	6	23-28	18
12.ხირონა	13	4	5	4	16-19	17
13.ეიბარი	14	5	2	7	16-27	17
14.ლევანტე	14	3	7	4	14-20	16
15.ესპანიოლი	14	4	4	6	11-18	16
16.ბილბაო	14	3	5	6	14-18	14
17.დეპორტივო	14	3	3	8	17-27	12
18.ლას პალმასი	14	3	1	10	11-32	10
19.მალაგა	14	2	2	10	11-28	8
20.ალავესი	13	2	0	11	7-22	6

ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი

ლეონესა-ალკორკონი 2:2
ვალიადოლიდი-ნუმანსია 2:3
კადისი-ალბასეტე 2:0
სევილია ბ-ლუგო 1:1
ალმერია-ტენერიფე 2:1
ხიხონი-სარაგოსა 0:1

გერმანია. ბუნდესლიგა

ჰერტა-აინტრახტი 1:2
ვოლფსბურგი-გლადბახი 3:0

სატურნირო ცხრილი:

1.ბაიერნი	14	10	2	2	34-11	32
2.ლაიპციგი	14	8	2	4	22-19	26
3.შალკე	14	7	4	3	22-16	25
4.გლადბახი	14	7	3	4	23-25	24
5.ჰოფენჰაიმი	14	6	5	3	25-18	23
6.დორტმუნდი	14	6	4	4	34-21	22
7.აუგსბურგი	14	6	4	4	21-16	22
8.აინტრახტი	14	6	4	4	16-14	22
9.ლევერკუზენი	14	5	6	3	27-19	21
10.ჰანოვერი	14	5	4	5	17-19	19
11.ვოლფსბურგი	14	3	8	3	20-19	17
12.ჰერტა	14	4	5	5	19-21	17
13.შტუტგარტი	14	5	2	7	13-17	17
14.მაინცი	14	4	3	7	15-22	15
15.ჰამბურგი	14	4	2	8	13-20	14
16.ფრაიბურგი	14	2	6	6	9-25	12
17.ვერდერი	14	2	5	7	9-16	11
18.კიოლნი	14	0	3	11	6-27	3

გერმანია. მე-2 ბუნდესლიგა

ბოხუმი-უნიონი 2:1
დარმშტადი-რეგენსბურგი 0:1
დინამო-აუე 4:0

იტალია. სერია ა

ბენევენტო-მილანი 2:2
ბოლონია-კალიარი 1:1
ფიორენტინა-სასუოლო 3:0
ინტერი-კიევო 5:0
სამპდორია-ლაციო 1:2

სატურნირო ცხრილი:

1.ინტერი	15	12	3	0	33-10	39
2.ნაპოლი	15	12	2	1	35-10	38
3.იუვენტუსი	15	12	1	2	41-14	37
4.რომა	14	11	1	2	27-10	34
5.ლაციო	14	10	2	2	35-16	32
6.სამპდორია	14	8	2	4	28-20	26
7.ფიორენტინა	15	6	3	6	26-19	21
8.მილანი	15	6	3	6	21-20	21
9.ბოლონია	15	6	3	6	18-18	21
10.ატალანტა	15	5	5	5	21-19	20
11.ტორინო	15	4	8	3	19-21	20
12.კიევო	15	5	5	5	17-26	20
13.კალიარი	15	5	1	9	14-25	16
14.უდინეზე	13	4	0	9	18-24	12
15.კროტონე	14	3	3	8	11-27	12
16.სასუოლო	15	3	2	10	8-27	11
17.ჯენოა	14	2	4	8	12-20	10
18.სპალი	15	2	4	9	13-26	10
19.ვერონა	14	2	3	9	12-29	9
20.ბენევენტო	15	0	1	14	8-36	1

იტალია. სერია ბ

აველინო-კარპი 1:1
ვირტუსი-ბარი 3:1

საფრანგეთი. 1 ლიგა

სტ.ეტიენი-ნანტი 1:1
კაენი-ლიონი 1:2
მონპელიე-მარსელი 1:1

სატურნირო ცხრილი:

1.პსჟ	16	13	2	1	48-12	41
2.ლიონი	16	9	5	2	40-18	32
3.მონაკო	16	10	2	4	37-16	32
4.მარსელი	15	9	4	2	31-18	31
5.ნანტი	16	8	3	5	15-16	27
6.რენი	16	7	3	6	21-19	24
7.კაენი	16	7	2	7	11-16	23
8.მონპელიე	15	5	6	4	12-8	21
9.ამიენი	16	6	3	7	15-17	21
10.დიჟონი	16	6	3	7	24-27	21
11.ბორდო	16	5	5	6	22-23	20
12.სტ.ეტიენი	16	5	5	6	17-24	20
13.ნიცა	16	6	2	8	20-27	20
14.გენგამი	16	5	4	7	15-23	19
15.ტრუა	16	5	3	8	16-21	18
16.სტრასბური	16	4	6	6	19-27	18
17.ლილი	16	5	3	8	15-23	18
18.ტულუზა	16	4	4	8	14-23	16
19.ანჟე	16	2	8	6	18-26	14
20.მეცი	16	1	1	14	6-32	4

ჰოლანდია. ეროვნული დივიზიონი

ვენლო-ალკმაარი 0:2
ასვ-სპარტა 1:0
როდა-ჰერენვენი 2:1
ბრედა-ექსელსიორი 3:1

პორტუგალია. პრიმეირა ლიგა

ფეირენშე-ავიში 0:1
ბრაგა-ფერეირა 3:0
სეტუბალი-გიმარაეში 1:2

ჩეხეთი. პრემიერლიგა

უფა-ამკარი 3:0
კრასნოდარი-ახმატი 3:2
ანჟი სკა ენერგია 4:0

შვეიცარია. სუპერლიგა

გრასჰოპერსი-ლუგანო 0:1
სტ.გალენი-ციურიხი 1:3
თუნი-იანგ ბოიზი 3:1

შოტლანდია. პრემიერლიგა

აბერდინი-რეინჯერსი 1:2

ავსტრია. ბუნდესლიგა

აუსტრია-ზალცბურგი 1:1

ბელგია. ა დივიზიონი

სტანდარდი-ანტვერპენი 1:1
ეუპენი-ბრიუგე 2:2
ვარეგემი-გენტი 0:1

საბერძნეთი. სუპერლიგა

პანათინაიკოსი-პანიონიოსი 0:1
ლამია-პანეთოლიკოსი 2:2
ლარისა-იანინა 1:1
ლევადიაკოსი-აეკი 0:2

თურქეთი. სუპერლიგა

გენჩლერი-სივასი 4:0
ქონია-ბურსა 0:3
ბაშაქშეჰირი-ოსმანლი 1:0
ფენერბახჩე-ქაშიმფაშა 4:2

პოლონეთი. ექსტრაკლასა

პიასტი-ლეხი 0:0
ვისლა-გურნიკი 2:3

უკრაინა. პრემიერლიგა

ზვეზდა-სტალი 1:0
ვორკლა-ოლეკსანდრია 3:1
ვორსკლას მე-3 გოლი ალექსანდრე კობახიძემ გაიტანა
დინამო-მარიუპოლი 5:1

დანია. სუპერლიგა

ჰობრო-ჰორსენსი 1:1
სილკებორგი-რანდერსი 3:2
სილკებორგი პირველ და მე-3 გოლი დავით სხირტლაძემ გაიტანა
სონდერიისკე-ბრონდბიუ 1:3
კოპენჰაგენი-ნორდსიელანდი 1:3

მოამზადა მიხეილ ყორეულიანმა

ქართველები იგებენ

ზაზა ფაჩულიას გოლდენ სტეიტმა მაიამიში ჰიტი 123:95 დაამარცხა და ამაში ჩვენებურის წვლილიც იყო. ზაზამ ტრადიციულად სასტარტოში დაიწყო, პარკეტზე 17 წუთი დაჰყო და ამ დროში ქართველმა ცენტრმა გუნდს 8 ქულა, 4 მოხსნა და 2 პასი შესძინა. ზაზამ ოთხიდან სამი ორქულიანი, სამიდან ორი საჯარიმო ჩააგდო.

გოლდენ სტეიტი 18 მოგებით და 6 წაგებით დასავლეთ კონფერენციაში მე-2 ადგილზე იმყოფება.

ესპანეთის საკალათბურთო ჩემპიონატში ბასკონიამ ზედიზედ მე-4 შეხვედრა მოიგო. ბასკებმა ამჯერად საკუთარ მოედანზე მონბუსი დაამარცხეს – 85:78.

ამ გამარჯვებაში დიდი წვლილი შეიტანა თორნიკე შენგელიამ. ბასკთა ქართველმა კაპიტანმა, რომელიც სასტარტო ხუთეულში იყო, 31 წუთში საკუთარ გუნდს 18 ქულა, 8 მოხსნა და 3 პასი შესძინა. თორნიკემ 10-დან 5 ორქულიანი, 4-დან 1 სამქულიანი და 7-დან 5 საჯარიმო ჩააგდო.

ბასკონიას 10 ტურში 6 მოგებითა და 4 მარცხით მე-7 ადგილზეა. ბასკები მომდევნო ტურში დერბიში ბილბაოს უმასპინძლებენ.

მცირე ტრავმის შემდეგ, რის გამოც ევროლიგის გასული ტურის მატჩი გამოტოვა, ქართველი კალათბურთელი გიორგი შერმადინი მოედანს დაუბრუნდა.

შერმადინის უნიკახამ ესპანეთის ჩემპიონატის მე-10 ტურში ბადალონას ხუვენტუტი მიიღო და 86:74 იმარჯვა, ქართველმა ცენტრმა 18 წუთი ითამაშა და 11 ქულა, 5 მოხსნა (3 შეტევაში), 1 პასი და 1 დაფარება მიითვალა. გიორგიმ 3-დან 2 ორქულიანი და 8-დან 7 საჯარიმო ჩააგდო.

მალაგელებმა მე-5 გამარჯვება იზეიმეს და მე-8 ადგილზე იმყოფებიან, მომდევნო მატჩი კი შერმადინის ყოფილ კლუბ სარაგოსასთან ელით.

ბოლნისის სიონი უმაღლესში დაბრუნდა

დასაწყისი მე-9 გვერდზე

თბილისი. შატილი 1:0 ფიფია (2პ), 2:0 დეისაძე (59), 3:0 გოგობერიშვილი (68), შენგელიძე (81)

როგორც მოსალოდნელი იყო, თბილისის ნორჩმა დინამომ განმეორებით შეხვედრაშიც მარტივად მოახერხა ტყიბულის მეშახტეს დამარცხება და ერთი რანგით მაღალი ლიგის საგზური მოიპოვა.

„შატილზე“ გამართული მატჩი დინამოელთა სრული უპირატესობით წარიმართა და მათი გამარჯვებით 4:0 დასრულდა. პირველ ტაიმში თბილისელებმა მხოლოდ ერთი გოლი გაიტანეს, მე-2 წუთზე პენალტი ზუსტად გოგი ფიფიამ შეასრულა. მეორე ნახევარში დედაქალაქელთა შეტევები უფრო შედეგიანი გამოდგა: 59-ე წუთზე მეშახტეს კარი იაგო დეისაძემ აიღო და სხვაობა ორამდე გაიზარდა. ამ მომენტიდან ზუსტად 9 წუთში კი, მეტოქეს გამოცდილმა ალექსანდრე გოგობერიშვილმა გაუტანა და საკუთარი გუნდის უპირატესობა კიდევ უფრო თვალსაჩინო გახადა. მატჩის საბოლოო ანაგრიში 81-ე წუთზე დაფიქსირდა, იმერელთა კარში გატანილი მეოთხე გოლის ავტორი შეცვლაზე შემოსული, ვანო შენგელიძე გახდა.

მოამზადა
მიხეილ ყორეულიანმა

გატუზო: „ბენევენტოსთან ფრე წაგებას ნიშნავს“

მილანის მთავარმა მწვრთნელმა ჯენარო გატუზომ ბენევენტოსთან ვერმოგებული მატჩის შემდეგ კომენტარი გააკეთა და თქვა, რომ მისთვის ეს შედეგი ძალიან მტკივნეულია. ბენევენტოს მეკარემ ბოლო წუთზე შეძლო ანგარიშის გათანაბრება და ბენევენტომ პირველად არ წააგო 15 მატჩის მანძილზე. აქამდე ამ გუნდს ზედიზედ 14 შეხვედრა ჰქონდა წაგებული. გატუზომ აღიარა, რომ ფრე ამ შემთხვევაში წაგების ტოლფასი იყო და მის გუნდს კიდევ უამრავი სამუშაო აქვს იმისთვის, რომ თამაში გამოასწოროს.

მილანი ამჟამად იტალიის ჩემპიონატში მე-8 პოზიციაზე იმყოფება.

რეალს მაურო იკარდის შეძენა სურს

მადრიდის რეალი ახალი თავდამსხმელის ძიებაშია და ამჯერად სამეფო გუნდი მილანის ინტერის ფორვარდის მაურო იკარდის გადაბირებას შეეცდება.

იკარდის წელს ძალიან კარგი სეზონი აქვს და ის იტალიის ჩემპიონატის ერთ-ერთი საუკეთესო ბომბარდირია. იკარდის კარგი თამაში არ გამორჩა მადრიდის რეალს და ის დიდი თანხის გადახდას აპირებს ამ ტრანსფერში.

ინტერი ჯერჯერობით თავისი საუკეთესო ფეხბურთელის გაყიდვას არ აპირებს, იკარდიმ კი ერთ-ერთ ინტერვიუში განაცხადა, რომ ის ინტერში ძალიან ბედნიერია.

კარლო ანჩელოტიმ იტალიის ნაკრების გაწვრთნაზე უარი თქვა

ცნობილმა იტალიელმა მწვრთნელმა კარლო ანჩელოტიმ იტალიის ნაკრების გაწვრთნაზე უარი განაცხადა, რადგან მას ფეხბურთისგან დასვენება სურს. გარდა ამისა, ანჩელოტის თქმით, მას საკლუბო ფეხბურთი უფრო იზიდავს.

– ფედერაციიდან დამიკავშირდნენ და კარგი წინადადება შემომთავაზეს, მაგრამ სიმართლე გითხრათ, ნაკრებში მუშაობის პერსპექტივა არ მხიბლავს. სავარაუდოდ, ისევ გუნდს ჩავიბარებ, რადგან საკლუბო ფეხბურთი ჩემთან უფრო ახლოს არის, – განაცხადა კარლო ანჩელოტიმ.

იტალიის ნაკრები ამჟამად მწვრთნელის გარეშეა. ჯანპიერო ვენტურა მსოფლიოს ჩემპიონატზე ვერ მოხვედრის გამო, თანამდებობიდან გაათავისუფლეს.

პსჟ კაზემიროში 177 მილიონ ევროს იხდის

პსჟ კიდევ ერთი გრანდიოზული ტრანსფერის განხორციელებას აპირებს. ამჯერად პარიზელთა სამიზნე რეალის ბრაზილიელი ნახევარმცველი კაზემიროა, რომელიც თავის პოზიციაზე ევროპაში ერთ-ერთ საუკეთესოდ ითვლება.

პსჟ მზად არის, ამ ტრანსფერში 177 მილიონი ევრო გადაიხადოს და შესაძლოა რეალმა ასეთ მაცდურ წინადადებაზე უარი არ თქვას.

პსჟ-ში ბევრი ბრაზილიელი თამაშობს და კაზემიროს იქ, სავარაუდოდ, ადაპტაცია არ გაუჭირდება.

ჯერჯერობით რეალის წარმომადგენლებს ამ საკითხზე კომენტარი არ გაუკეთებიათ.

ბორუსია პიტერ ბოშის გაშვებას არ აპირებს



დორტმუნდის ბორუსია ჯერჯერობით მთავარი მწვრთნელის პიტერ ბოშის თანამდებობიდან განთავისუფლებას არ აპირებს, მაგრამ თუ გუნდმა გააგრძელა წარუმატებელი მატჩების სერია, მაშინ ბოში, სავარაუდოდ, მალე დაემშვიდობება თავის სამსახურს.

ბორუსია უკვე საკმაოდ დიდი ხანია, ვერ ახერხებს გამარჯვების მოპოვებას და გუნდი აშკარა კრიზისშია.

პიტერ ბოშმა ბორუსია წლევანდელ ზაფხულს ჩაიბარა, მას შემდეგ, რაც ტომას ტუხელმა თანამდებობა დატოვა.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

შინდისის გმირების მონუმენტის სამუშაოები უსახსრობის გამო შეჩერებულია



მოქანდაკე ნუგზარ ჭავჭავაძე გორის სოფელ შინდისში 2008 წლის 11 აგვისტოს ბრძოლის ველზე დაცემულ 17 ქართველი ვაჟკაცის მონუმენტზე მუშაობს. შინდისის გმირებზე რეჟისორი დიტო ცინცაძე მხატვრულ ფილმს იღებს, სადაც მთავარ როლს მერაბ ნინიძე თამაშობს.

მსახიობი ედმონდ აბაშიძე-მინაშვილი ავრცელებს ინფორმაციას, რომ უსახსრობის გამო, შინდისის გმირების მონუმენტზე მუშაობა შეჩერებულია:

– გორის მუნიციპალიტეტის სოფელ შინდისში, 2008 წლის 11 აგვისტოს, ბრძოლის ველზე გმირულად დაცემული 17 ქართველი მებრძოლის პორტრეტული მონუმენტი, სიმაღლე 17 მეტრი, ბრინჯაო, 22 ტონა...

მერვე წელი დაიწყო, რაც ეს პროექტი დაწყებული გვაქვს და მიზერული თანხებით მოხერხდა პირველი ეტაპის დასრულება. მოქანდაკე ნუგზარ ჭავჭავაძე, აბსოლუტურად მარტო ატარებს ურთულეს სამუშაოებს, უსახსრობის გამო პროცესი შეჩერებულია, სამწუხაროდ...

არადა ძალიან გვინდოდა, რომ 2018 წელს მაინც გაგვეხსნა ხელოვნების ეს უნიკალური ნიმუში სოფელ შინდისში, გმირების სახელზე აგებული ტაძრის ეზოში, სადაც 2008 წელს დაიწერა ისტორიის უმნიშვნელოვანესი ფურცელი...

მხატვრული ფილმის „შინდისი“-ის ქართულ პრემიერას, ასევე ვგეგმავთ გმირებს სისხლით გაჟღენთილ მიწაზე, ზუსტად ათი წლის თავზე, 11 აგვისტოს.

კარგი იქნებოდა, იმავე დღეს სიმბოლურად გაგვეხსნა გმირების მონუმენტიც, სამწუხაროდ, უსახსრობის გამო ვერ ვაგრძელებთ სამუშაოებს. არადა ზუსტად სამ თვეში შეიძლება დასრულება...

ედმონდის ამ განცხადებას ქანდის ეკლესიის წინამძღვარი, მამა სერაფიმე გამოეხმაურა და მსახიობს საქველმოქმედო საღამოს ჩატარება შესთავაზა, რომელშიც მონაწილეობას მსახიობები, მომღერლები, პოეტები მიიღებენ და შეგროვილი თანხა მონუმენტის დასრულებისთვის გადაირიცხება.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

ასტროპროგნოზი

5 დეკემბერი

ვერძი – პერსპექტიული დღეა გამოცდილების მისაღებად. ჩანაფიქრის განხორციელებას მოახერხებთ. **კურო** – საქმიან კონტაქტებს ერიდეთ. საკუთარ შეცდომას სხვას ნუ გადააბრალებთ. **ტყუპები** – იყავით შორსმჭვრეტელი. წინდაუხედაობა დაგაზარალებთ როგორც მატერიალურად, ისე – მორალურად. ენერგეტიკულად მძლავრი დღეა. **კირჩხიბი** – დრო სწორად გაანაწილეთ. ენერგია მაქსიმალურად დაზოგეთ. რამდენიმე საქმეს ერთდროულად ნუ შეეჭიდებით. **ლომი** – კეთილისმყოფელი დღეა. ამის მიუხედავად, ვარსკვლავები გაფრთხილებენ: არ იაქტიუროთ. **ქალწული** – ახალმა გატაცებამ შესაძლოა იმედი გაგიცრუოთ. ამიტომ დღეს მხოლოდ ჩვეული საქმით დაკავდით. **სასწორი** – პროფესიულ სფეროში დაბრკოლებებს წააწყდებით. ნუ იქნებით იმპულსური. **ღრიანკალი** – კრიტიკული, დაძაბული დღეა. ეცადეთ, მეტი დრო გაატაროთ ბუნების წიაღში და სულიერი ძალები აღიდგინოთ. **მშვილდოსანი** – ნებისმიერ სიტუაციაში სიფრთხილე გმართებთ. რისკი დაუშვებელია. **თხის რქა** – მეგობრებზე განაწყენებული ხართ. ემოციები მოთოკეთ და თვითგანვითარებაზე იზრუნეთ. **მერწყული** – შემოქმედებითად აქტიური დღეა. მატერიალური მდგომარეობა გიუმჯობესდებათ. ილუზიებს არ აჰყვეთ. **თევზები** – თქვენი დახმარება და მორალური მხარდაჭერა ბევრ ადამიანს სჭირდება. გამოიჩინეთ კეთილგონიერება და პრიორიტეტები სწორად გადაანაწილეთ.

გისუსვებთ ბედნიერ დღეს!

ჯოსვოხდი ১



შვეულად: 1. საკონდიტრო ნაწარმი; 2. შვედური მსუბუქი ავტომობილი; 3. ხეობაზე გაყვანილი ხიდი; 4. პოლიციელთა მეტსახელი ბრიტანეთში; 5. შაქრის ლერწმის არაყი; 6. სრული უწესრიგობა, არეულობა; 9. რაიმე უფლების ან რწმუნების კანონიერების დამტკიცება; 10. ფრანგული არაყი; 11. თურქული თოჯინური თეატრის მთავარი პერსონაჟი; 14. ჭიდაობის, ერთ-ერთი სახეობა; 16. პროფესიონალი მონადირე; 18. მძლავრი, ინტენსიური გამოსხივების მქონე კოსმოსური სხეული; 20. ძველებური ქართული ვერცხლის ფული; 23. მანძილის საზომი ერთეული აშშ-ში; 24. გემების სადგომი ნავსადგურში; 25. ფრანგი მწერალი, ნობელის პრემიის ლაურეატი; 26. ფრანგული კოსმეტიკური ფირმა.

თარაზულად: 7. ფირმა „როლექსის“ დამფუძნებელი; 8. ფრანგი მწერალი, მეიგავე; 12. ინგლისის ნავსადგური პადე-კალეს სრუტეში; 13. სათამაშო ქაღალდი; 15. მუზეუმი ფლორენციაში; 17. მწერალ გიორგი ახვლედიანის ლიტერატურული ფსევდონიმი; 19. ჩინური ფინიკი; 21. ფინანსურ-საკრედიტო დაწესებულება; 22. სოფლის მოხელე, მამასახლისის მოადგილე, თანაშემწე ძველად საქართველოში; 27. ამერიკული საავტომობილო კონცერნი; 28. საფრანგეთში მოღვაწე ქართველი ოქრომჭედელი.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

კროსვორდის პასუხები:

თარაზულად: 5. პლომბირი; 6. კიპრეგელი; 9 მინორი; 10. ნასოსი; 11. გნომი; 13. ალამი; 15. კაკადუ; 18. კირხე; 21. ასტეროიდი; 22. ნეოლითი; 23. ბანდურა.

შვეულად: 1. კლინიკა; 2. ტირანი; 3. სპონსორი; 4. პირამიდა; 7. სიასამური; 8. მანაგაძე; 12. კლინკერი; 14. დანტისტი; 16. მირანდა; 17. კრამიტი; 19. პინა; 20. ალღო.

სკანვორდის პასუხები:

1. მესკია; 2. ასტანა; 3. მასტროიანი; 4. კინტო; 5. არტისტი; 6. ია; 7. ბია; 8. გარანტი; 9. ობი; 10. არაგვი; 11. პანტა; 12. მო; 13. მილიცია; 14. ერა; 15. არენა; 16. ნამყო; 17. ირიგაცია; 18. ოზმა; 19. ნიტი; 20. მელ; 21. სოტე; 22. არია; 23. ნუკრი; 24. კაა; 25. ბანა; 26. აჩმა; 27. კარაველა; 28. რეფერენცია; 29. ნევადა; 30. სინდისი; 31. სალმონელოზი.

სურათები: ბარბარა ბრილსკა; დარენ ფლეტჩერი.

მიხაილ ლავროვსკი „რომეო და ჯულიეტას“ აღდგენაზე მუშაობს

ზაქარია ფალიაშვილის სახელობის თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის საბალეტო დასი „რომეო და ჯულიეტას“ აღდგენაზე მუშაობს. რეპეტიციებს თბილისში მიხაილ ლავროვსკი ატარებს. აღდგენილი ბალეტი 2018 წლის იანვარში იქნება წარმოდგენილი.

„რომეო და ჯულიეტას“ პრემიერა თბილისში 11 წლის წინ გაიმართა და თეატრის რეკონსტრუქციის გამო რამდენიმე წელია წარმოდგენილი არ ყოფილა.

მიხაილ ლავროვსკი:

– გულწრფელად, ყოველგვარი თავმდაბლობის გარეშე ვიტყვი, რომ მამას ეს ბალეტი ნამდვილად გამოუვიდა. მიუხედავად იმისა, რომ ლენინგრადში მუშაობის პროცესში ბევრი წინააღმდეგობა შეხვდა, საბოლოოდ შედევრი შექმნა. „რომეო და ჯულიეტას“ დადგმა საბჭოთა კავშირიდან, მტრულად განწყობილმა დასავლეთმაც კი დიდი ოვაციებით მიიღო. პრემიერიდან თითქმის ერთი საუკუნე გავიდა. ვეთანხმები ნინო ანანიაშვილს, როცა ამბობს, რომ გენიალური ბალეტებიც კი, დროსთან ერთად რედაქტირებას საჭიროებს. ვმუშაობთ ახალ რედაქციაზე. რაც შეეხება საბალეტო დასს, თბილისში ბოლოს 30 წლის წინ ვიმუშავე, მაშინაც ძალიან ნიჭიერი თაობა იყო და ახლაც. კმაყოფილი დავრჩი, ყოჩაღები არიან, მაღალი დონის მოცეკვავეები.

ანსამბლი „ოპერა“ 55 წლისაა

ლეგენდარული ანსამბლი „ორერა“ 2017 წელს დაარსებიდან 55 წლის იუბილეს აღნიშნავს.

ამ საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით, 6 დეკემბერს თბილისის დიდ საკონცერტო დარბაზში ანსამბლი კონცერტს გამართავს.

„ჩემი საქართველო აქ არის“ – ასე ეწოდება კონცერტს, სადაც ანსამბლის უხუცეს წევრებთან ერთად, სცენაზე „ორერას“ ახალი თაობის მომღერლები წარდგებიან.

კონცერტზე სპეციალური სტუმრის სტატუსით მიწვეულები არიან ნანი ბრეგვაძე და ბუბა კიკაბიძე.

„ორერამ“ არსებობის განმავლობაში ათასობით კონცერტი ჩაატარა და არაერთი ალბომი ჩაწერა. ანსამბლმა მსოფლიოს გარშემო იმოგზაურა და თავისი რეპერტუარით მილიონობით ერთგული მსმენელი გაიჩინა. „ორერას“ პირველი წევრები იყვნენ რობერტ ბარძიმაშვილი, თეიმურაზ დავითაია, ზურაბ იაშვილი და თამაზ ფანჩვიძე. ამ შემადგენლობით მათ კომპოზიტორ სულხან ცინცაძის სიმღერები შეასრულეს ფილმში „თოჯინები იცინიან“. იგი იყო პირველი ვოკალურ-ინსტრუმენტული ანსამბლი მთელ საბჭოთა კავშირში. ანსამბლს დაკრული აქვს მსოფლიოს ხუთივე კონტინენტზე.

„ორერა“ ჩამოყალიბდა უცხო ენათა ინსტიტუტში, ამიტომ მის წევრებს სიმღერების რამდენიმე ენაზე შესრულებაც შეეძლოთ. ანსამბლს დაემატა ვირტუოზი პიანისტი, ჯაზმენი ვაგიფ მუსტაფა-ზადე, მოგვიანებით თეიმურაზ მეღვინეთუხუცესი, გენო ნადირაშვილი, ნანი ბრეგვაძე, ბუბა კიკაბიძე. ბუბა მსოფლიო მასშტაბის

„ექსპო-67“-ზე მსოფლიოს მესამე დასარტყამ ინსტრუმენტზე დამკვრელად დასახელდა.

რეჟისორმა ზაალ კაკაბაძემ გადაიღო ქართული სატელევიზიო მხატვრული ფილმი „ორერა სრული სვლით“, სადაც ანსამბლის მიერ მსოფლიოს გარშემო მოგზაურობაა ასახული.

ანსამბლის რეპერტუარი ძველი ქართული სიმღერებისგან, მსოფლიო ხალხების სიმღერებისა და მსოფლიო ესტრადის პოპულარული კომპოზიციებისგან შედგებოდა. მათ რეპერტუარში დიდი ადგილი ეჭირა ქართველი კომპოზიტორის, გოგი ცაბაძის სიმღერებს, ფრენკ სინატრას რეპერტუარს, რომელსაც ასრულებდა გენო ნადირაშვილი. მოგვიანებით „ორერაში“ მოღვაწეობდნენ ვალერი ლომსაძე, დათო აბულაძე, სოსო ჟვანია და ვახტანგ კუცია. რობერტ ბარძიმაშვილის წასვლის შემდგომ წლებში ანსამბლს ხელმძღვანელობდა ბუბა კიკაბიძე, უფრო მოგვიანებით კი გენო ნადირაშვილი.

პრომეთეს მღვიმის უხელფასო დარაჯს ღირსების ორდენი გადასცეს

დარაჯს, რომელიც პრომეთეს მღვიმეს 23 წელიწადი უხელფასოდ იცავდა, ღირსების ორდენი გადასცეს.

დაცული ტერიტორიების სააგენტოს თავმჯდომარემ, დავით მარკოზაშვილმა, გიორგი ტყაბლაძეს ღირსების ორდენთან ერთად, მადლობის სიგელი და ფულადი ჯილდო გადასცა.

ინფორმაცია გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრომ გაავრცელა:

– გიორგი ტყაბლაძე პრომეთეს მღვიმეში 1984 წლიდან 2007 წლამდე დარაჯად, ყოველგვარი ანაზღაურების გარეშე მუშაობდა. მას მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვის პრომეთეს მღვიმის უნიკალური ბუნებრივი ძეგლის პირვანდელი სახით შენარჩუნებაში. მნიშვნელოვანი დამსახურებისთვის, 2010 წელს, მღვიმის სახმელეთო გამოსასვლელის ტერიტორიაზე მისი ძეგლიც გაიხსნა.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

ოპერის ვარსკვლავები ქველმოქმედებისთვის იმღერებენ

5 დეკემბერს თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრში გრანდიოზული საქველმოქმედო გალა-კონცერტი „საოპერო ვარსკვლავები ბანასთვის“ გაიმართება. მსოფლიოში აღიარებული ქართველი ბარიტონის გიორგი გაგნიძის ორგანიზებით, საზღვარგარეთ მოღვაწე ქართველი საოპერო ვარსკვლავები სამონასტრო-საგანმანათლებლო კულტურული და საზოგადოებრივი ცენტრის „ახალი ბანას“ მშენებლობისათვის საჭირო სახსრების მოსაძიებლად ერთიანდებიან.

ქართველი მსმენელისთვის ოპერის სცენაზე ერთად იმღერებენ გიორგი გაგნიძე, იანო ალიბეგაშვილი, ლადო ათანელი, თამარ ივერი, შალვა მუქერია, ქეთევან ქემოკლიძე, ნანა ქავთარაშვილი, მიხეილ კოლელიშვილი, ზურაბ ზურაბიშვილი, თამთა ტარიელი, ნინო ლეჟავა. თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის ორკესტრს უდირიჟორებს მაესტრო ზაზა აზმაიფარაშვილი. კონცერტში მონაწილეობას მიიღებს სამების გუნდიც. შესრულდება არიები და ანსამბლები ვერდის, ჯორდანოს, პონკიელის, გუნოს, ჩილეას, დონიცეტის, პუჩინისა და ფალიაშვილის ოპერებიდან.

საქველმოქმედო საღამოდან შემოსული თანხა სრულად მოხმარდება „ახალი ბანას“ მშენებლობას. აღდგომის სახელობის „ახალი ბანას“ სამონასტრო-საგანმანათლებლო ცენტრის მშენებლობას ამ ზაფხულს სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია მეორეს ლოცვა-კურთხევით ჩაეყარა საფუძველი, რომელსაც პრემიერი გიორგი კვირიკაშვილი და უმრავლესობის წევრები ესწრებოდნენ.

პროექტის ავტორი სურამისა და ხაშურის ეპარქიის ეპისკოპოსი მეუფე სვიმეონია,

რომლის ეგიდით აღნიშნული კომპლექსის მშენებლობა უკვე მიმდინარეობს. „ახალი ბანას“ საუკუნის პროექტად წოდებულ კომპლექსს საკმაოდ მასშტაბური და მრავალფუნქციური დატვირთვა ექნება, რომლის მიზანიც მომავალი თაობებისათვის „ბანას“ ისტორიული მნიშვნელობის გაცნობა და ეკლესიაში საგანმანათლებლო და კულტურული კერის ჩამოყალიბებაა.

ილია ჭავჭავაძის იუბილე დმანისში აღინიშნა

ქართული ეკლესიის მიერ წმინდანად შერაცხული მწერლისა და პოეტის ილია ჭავჭავაძის იუბილე დმანისში აღინიშნა.

„ეროვნული იმპერატივი“ საქართველოს მასშტაბით პირველი ორგანიზაციაა, რომელმაც ილია ჭავჭავაძის 180 წლის იუბილის აღნიშვნა დაგეგმა და საიუბილეო პროექტებს ახორციელებს.

პროექტი „ილია ჭავჭავაძე 180 – უკვდავების ფენომენი“ აპრილის თვეში დაიწყო და საქართველოს ყველა კუთხის ჩართულობით ხორციელდება. პროექტის 21-ე ღონისძიება, გამოფენა „ილია სახვით ხელოვნებაში“ და სპექტაკლი „საუკუნის მკვლელობა“ დმანისში გაიმართა, ზნიაიდა კვერენჩხილაძის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის სცენაზე, რომლის მხარდამჭერი აღნიშნული თეატრი იყო. ილიას საიუბილეო პროექტში ჩართულობის ინიციატივა თავად დმანისის თეატრმა და მისმა სამხატვრო ხელმძღვანელმა ლაშა ჩხვიმიანმა გამოთქვა.

21-ე ღონისძიებით „ეროვნული იმპერატივის“ პროექტმა ამ დროისათვის ზუსტად მესამედი საქართველო მოიცვა და ქვეყნის მუნიციპალიტეტებისა და თვითმმართველი ქალაქების მესამედი ნაწილი დაფარა, რაც უპრეცედენტო მასშტაბია ერთი პროექტისათვის, მით უფრო კულტურული და სახელოვნებო პროფილის პროექტისათვის.

თუმცა, ილიას საიუბილეო პროექტი ჯერ არ სრულდება და მის ფარგლებში დაგეგმილი ღონისძიებების ხილვა საქართველოს კიდევ არაერთი მუნიციპალიტეტის მაყურებელს შეეძლება.

სამგლოვიარო განცხადებები

ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი პარმენ ლემონჯავა ოჯახით იუწყება, რომ აღესრულა ეკონომიკის აკადემიური დოქტორი, პროფესორი

ვალერი ქირია

და მწუხარებით უსამძიმრებს განსვენებულის ოჯახს.

პროფესორი ვალერი იყო გამორჩეული მეცნიერი და კეთილი ნების ადამიანი, რომელსაც ყველა უყვარდა და ყველა აფასებდა. დიდად ვწუხვარ, რომ დღეს მასზე მიხდება წარსული დროით საუბარი.

მეგობრების ჯგუფი იუწყება, რომ უბედური შემთხვევის შედეგად გარდაიცვალა სულითა და გულით ქართველი, საქართველოსა და ოჯახზე უსაზღვროდ შეყვარებული

იური სურგულაძე

და სამძიმარს უცხადებს ოჯახს.

სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.

ჯოსვოიდი ბ



შვეულად: 1. რძის შაქარი; 2. რაიმე მოვლენის ასახსნელად წამოყენებული მეცნიერული ვარაუდი; 3. სამონასტრო კომპლექსი ახალციხის რაიონში; 4. საქართველოში გავრცელებული ტროპიკული ხე, რომლისგანაც ამზადებენ მაღალხარისხოვან ტექნიკურ ზეთს; 5. საახალწლო ტკბილეული; 8. ქუჩის მუსიკოსთა სახელწოდება საფრანგეთში; 12. კარატისტის ოსტატობის მაჩვენებელი თანრიგი; 13. ჰავაის კუნძულების ადმინისტრაციული ცენტრი; 14. მკვახე, უმწიფარი ყურძენი; 16. ქართველი საბავშვო მწერალი ქალი; 18. დოკუმენტების, ცნობების კრებული, ვინმეს ან რაიმეს შესახებ; 20. ძვირფასი ლითონი.

თარაზულად: 6. შავყურძნიანი ვაზის ქართული ჯიში; 7. ბალნეოლოგიური კურორტი იმერეთში; 8. პოპულარული იაპონური ციფრულ-ლოგიკური თავსატეხი; 9. ქართველი უფოლოგი; 10. მეცნიერების, ხელოვნების მდიდარი მფარველი; 11. სასჯელი ქურდობისთვის ძველ ქართულ სამართალში; 15. საზაფხულო აგარაკების სახელწოდება ჰოლანდიაში; 17. ხორცის პროდუქტების მწარმოებელი ქართული ფირმა; 19. ერთთვლიანი საცირკო ველოსიპედი; 21. ქალაქი იმერეთში; 22. უნგრეთის დედაქალაქი; 23. ძვირფასი მაჯის საათების მწარმოებელი შვეიცარიული ფირმა.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა

პროგრამა

სამშაბათი 5 დეკემბერი

07.30 "ნამდვილი დრო" **08.00** ანიმაცია. "მოგზაური დორა" **09.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00** "მოამბე" **09.15** ტ/სერ. "**ჩინტო ვეტრინე**" **10.00, 03.50** "პირადი ექიმი" **11.00, 19.00** ტ/სერ. "**ძველი ჩიდის საიდუმლო**" **12.15** "სპორტის დაფა" **12.40** "აქტუალური თემა მაკა ცინცაძესთან ერთად" **13.25, 22.15** ტ/სერ. "**სახელმწიფო მდივანი**" **14.30** დოკ/ფ "მეცნიერება - ხვალ უკვე დღეს" **15.30, 05.50** დოკ/ფ "ძველი რომის საგანძური" **16.30** ტ/სერ. "**ველვეტი**" **18.30, 06.50** დოკ/ფ "გონების თამაშები" **20.00, 04.50** ტ/სერ. "**ელემენტარული**" **21.30** "აქტუალური თემა მაკა ცინცაძესთან ერთად" **23.10** უეფა-ს ჩემპიონთა ლიგის წინასამატჩო გადაცემა **23.40 ფეხბურთი.** უეფა-ს ჩემპიონთა ლიგის მატჩი **01.35** უეფა-ს ჩემპიონთა მატჩის შემდგომი გადაცემა **02.10** მხ/ფ "**დედამიწის შვილები**"

06.30, 16.00 სერ. "**ტყუილი**" **07.30, 08.15, 09.20** იმედის დილა **08.00, 09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 03.50** ქრონიკა **10.10** სერ. "**ელიფი**" **11.20** სერ. "**ფიცი**" **12.30** იმედის დღე **14.40** სერ. "**ელიფი**" **17.35** სერ. "**ქალაქის გული**" **18.50, 19.03** სერ. "**მოპარული ცხოვრება**" **21.00** სპორტი **21.08** ამინდი **21.10** სერ. "**დედა**" **22.00** პოლიტიკური თოქ შოუ - პირისპირი **23.30** სერ. "**დიდი ფესვენება**"7 სერ. **00.10** მხ/ფ "**შიმშილის თამაშები 2**" **02.30** მხ/ფ "**სიყვარული და პინგვინები**" **04.00** მხ/ფ "**შიმშილის თამაშები**"

06.00, 18.50 სერ. "**მეორე შანსი**" **07.00, 20.03** სერ. "**დედამიწელი**" **07.30, 07.40, 08.10, 08.35, 09.15** დილამშვიდობისა საქართველო **07.35, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00** კურიერი **10.15** სერ. "**მფარველი ანგელოზი**" **12.30** "სხვა შუა დღე" **13.55** სერ. "**ფერრეპას საიდუმლო**" **15.30** სერ. "**გზისანი დღეები**" **16.55** სერ. "**მორჩილების სავანე**" **22.00** არჩევანი **00.00, 01.00** მხ/ფ **01.30** კურიერის დაიჯესტი **02.00** მხ/ფ

tv პირველი **7.55** ან/ფ **8.00** საქმიანი დილა **11.00** ქალების ნარატივი **12.00** სერ. "**რამონზე შეყვარებული**" **13.00, 17.00, 22.00** საინფორმაციო გამოშვება - NEWS **13.40, 23.00** უცხოეთის ამბები **14.00, 16.00** დიანა ტრაპაიძის დღის ამბები **15.00, 22.30** საქმის კურსი **17.50, 0.00, 2.00,** მხ/ფ **20.00** რეაქცია **23.30** ღალატი

08.00 ან/ფ "ატომი" **09.00, 19.00** სერ. "**ცისფერი სისხლი 6**" **11.00** მხ/ფ "**ქერათმიანი ადვოკატი**" **13.00** სერ. "**კრიმინალური აზროვნება 2**" **17.00** სერ. "**სამხედროების ცოლები 5**" **20.00** სერ. "**ცისფერი სისხლი 7**" **21.00** სერ. "**ლურჯის ელფერი 2**" **22.00** მხ/ფ "**ჯეკი გოლიათების გამანადგურებელი**" **00.10** მხ/ფ "**უკანასკნელი სამურაი**" **02.30** მხ/ფ "**ინტერვიუ ვამპირთან**" **04.25** მხ/ფ "**სახიფათო კავშირი**" **06.25** მხ/ფ "**ქერათმიანი ადვოკატი**"

08.00 ანანდა **08.10** მულტფილმი **08.20** მულტ/სერ. "დინოფროზი" **09.00** სერ. "**ბანდოლერა**" **10.40, 11.40, 12.40, 20.55, 21.55** ტელემარკეტი **11.00, 13.00, 17.00, 19.00, 23.40,** ახალი ამბები **12.00, 2.00** ბიზნესკოდი **14.30** ექიმის საათი **15.00, 01.30** მოდი გავეყაროთ **16.00, 2.40** ფაბრიკა **18.30** სერ. "**ყველაფერი ცხოვრების შესახებ**" **19.55** მე რომ ვიყო **20.00** თოქ შოუ "ცენზურის გარეშე" **21.00** სერ. "**გაქცეულები**" **22.00** სერ. "**ჯადოსნური ამბავი**" **23.00** Hellow თბილისი **00.00** მხ/ფ "**როცა ვკვდებოდი**" **3.40** ცენზურის გარეშე

06.10 სპექტაკლი "**საქართველოს უკანასკნელი დედოფალი**" **07.15** დ/ფ "საქართველოს დაცული ტერიტორიები-ვაშლოვანის დაცული ტერიტორია" **07.50** საგალობლები **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.25** დ/ფ "ველური ბუნება-წყლისგან გადარჩენილები" **09.05** "განთიადი (კოლაჟი) **10.10** დ/ფ "უცნობი ისტორიები-მიხა ხელაშვილი" **10.40** კონცერტი **11.15** სჯანი-"რელიგიისა და ფილოსოფიის ურთიერთ დამოკიდებულება" **11.40** საეკლესიო აღმშენებლობა **12.05** კარაბადინი "ლეიკემია" **12.35** საქართველო ევროპულ ოჯახში-"კონფლიქტური ზონები საქართველოში" **13.20** ან/ფ "ჯუნგლის წიგნი" **15.05** ქართული ან/ფ **15.25** დ/ფ "ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის ცხოველთა სამყარო" **15.50** კონცერტი **17.10** ქრისტიანული ხელოვნება "ღვთისმშობლის იკონოგრაფია" **18.10** პორტრეტები ერთსულოვნების გალერეადან "ბლუმენბახი" **18.30** ძველი ალთქმის განმარტება **18.45** ჩვენი ამბავი "დაკარგული ტახტის მემკვიდრე-ალ. ორბელიანი" **19.00, 22.00, 00.10** სიახლენი **19.20** ღვთის სახლი "გაგრა" **19.50** ღია აუდიტორია "ვახტანგ ლიჩელი" **20.40** ძილი ნებისა "ჩიპი და დეილი" **21.00** პატრიარქის ქადაგება **21.15** გაცოცხლებული წარსული "საგალობელი" **22.25** ჩვენი ფონდი "ქართული საეკლესიო ხელოვნების ზოგიერთი მონაპოვარი" **22.55** მართლმადიდებლური კატეხიზმო **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** სალბუნი "სისხლის განხილვა" **23.40** ღვთის სახლი "ანაკლია-ახალი ათონი" **00.00** საეკლესიო კალენდარი **00.30** საღვთისმეტყველო საუბრები **01.30** კონცერტი

მაესტრო **10.00 - 23.00** მთავარი თემა (განმეორება ყოველ ერთ საათში) **10.30 - 3.00** ახალი ამბები (განმეორება ყოველ ერთ საათში)

პროგრამები იბეჭდება საააგენტო „ინფოზავრის“ ხებართვით

ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

5 დეკემბრისთვის

აშშ დოლარი — 2.7085

ევრო — 3.2256

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.6557

100 რუსული რუბლი — 4.6188

ამინდის პროგნოზი 5 დეკემბრისთვის

30 ნოემბრიდან

ჯემალ ჩახავა

ქურდები და არიფები

ფასი გაზეთთან ერთად 4 ლარი

28 ნოემბრიდან

გურამ ყორანაშვილის

ავკარგიანობა გიორგი საკაძისა

ფასი გაზეთთან ერთად 10 ლარი

იუმორი

შვილი მიხოს ეკითხება:

– მამი ზამთარი რა არის?

– მაცივარში შაიხედე, შე შობელძაღლო...

•••

მიმდინარეობს გადაცემა „რა? სად? როდის?“ წამყვანი აცხადებს:

– თქვენ წინააღმდეგ თამაშობს უშიშროების სამსახურის ოფიცერი. ყურადღება შეკითხვა:

– რა დევს შავ ყუთში?

ერთი წუთის მანძილზე მოაზროვნეების გაცხარებულმა მსჯელობამ შედეგი ვერ გამოიღო. ბოლოს გუნდის კაპიტანი პასუხობს:

– ჩვენ არ ვიცით, რა დევს შავ ყუთში.

– პასუხი სწორია. თქვენ არ უნდა იცოდეთ, რა დევს შავ ყუთში.

•••

ორი ნაცნობი შეხვდა ერთმანეთს. ერთი მეორეს ეკითხება:

– რაზე მუშაობ?

– ლანდშაფისტად, – პასუხობს მეორე.

– ვაა, რა კარგია! კომპიუტერით?

– არა, ბულდოზერით...

•••

მამა შვილს ეუბნება:

– გავიგე, რომ მეორე სადარბაზოში ლამარასთან დადიხარ, მართალია?

– ჰო, მამი, რა არ შეიძლება?

– არა, რატომაც არა... შენს ასაკში რომ ვიყავი, მეც მასთან დავდიოდი!

•••

ქმარი ცოლს ეკითხება:

– ლატარიაში რომ ფული მოვიგო, რას გააკეთებ?

– ნახევარს გამოგართმევ და გაგეყრები, – პასუხობს ცოლი.

– ლატარიაში ათი ლარი მოვიგე. აჰა შენ ხუთი ლარი და დაახვიე აქედან!!!

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

23 ნოემბრიდან

ლაშა იმედაშვილი

სამი მკვლელობა ძველ თბილისში

პატრიარქის ზაფხული

ქართული დეტექტივი ტომი 13



ფასი გაზეთთან ერთად 4 ლარი

21 ნოემბრიდან

შიო გვეტაძე

მონანიება

ქართული დეტექტივი მე-14 ტომი

ფასი გაზეთთან ერთად 4 ლარი